პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 174 (19615) ◆ ოთხშაბათი, 30 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საფუძვლიანად მოვკიდოთ საქმეს ხელი

მ. ს. გორბაჩოვი ზღვისპირეთის მხარეში

ნახოდკა. 28 ივლისი. გრძელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობა ზღვისპირეთის მხარეში. მისი საფუძვლიანი საუბრები შრომითს კოლექტივებში, პირდაპირ ქუჩებში გაცხოველებულ საქმიან სჯა-ბაასად იქცევა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს აქვს ხალხის ფართო მასებთან.

დღეს დღის პირველ ნახევარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნახოდკას ეწვია. აღმოსავლეთ ნავსადგურისაკენ გზად მიმავალი იგი ესაუბრა სოფელ ნოვიცკოეს მცხოვრებლებს.

მ. ს. გორბაჩოვმა გამოიკითხა, როგორ ცხოვრობენ საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, როგორ მდის საქმეები მეურნეობაში. სოფლის მცხოვრებლებმა უამბეს, რომ ისინი თავიანთი პროდუქციით ამარაგებენ არა მარტო ნახოდკას, არამედ სხვა რაიონებსაც.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენი წარმატებები შთამბეჭდავია. ხომ არ გრძნობთ თავს ქვეყნისაგან მოწყვეტილად?

ხმები: არა, არ გვრძნობთ, რადიო და ტელევიზია გვაქვს.

მ. ს. გორბაჩოვი: მთელ ქვეყანასთან კავშირს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ გეტყვით, რომ იგი კიდევ უფრო განმტკიცდება, გადაწყვეტილი გვაქვს შორეული აღმოსავლეთი სულ უფრო მეტად განვავითაროთ.

ხმები: გმადლობთ. თქვენ ისე საქმიანად გვესაუბრებით.

მ. ს. გორბაჩოვი: ასეთი საუბრები საჭიროა, რადგან ბევრ ახალს, სასარგებლოს იგებ. მთავარია გავუგოთ ერთმანეთს და ვაკეთოთ, როგორც დავთქვით, ვაკეთოთ ნამუსიანად. ხომ არ გვეტყვით, საიდან ჩამოხვედით?

საბჭოთა მეურნეობის მუშა: ჩვენ უკრაინიდან ჩამოვედით. უკვე 32 წელია აქ ვშრომობთ და ვცხოვრობთ. მოგვეწონა აქაურობა და დაბრუნებას არ ვაპირებთ.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს კარგია, ახლა ლოთობის წინააღმდეგ ბრძანებულებაზე რას გვეტყვით, მოაღწია თქვენამდე?

ხმები: მოაღწია. კარგი ბრძანებულებაა. ეს საქმე დიდი ხნის წინათ უნდა გაკეთებულიყო.

მ. ს. გორბაჩოვი: მამაკაცებიც ამ აზრისანი არიან? ალბათ ყველანი არა? იცით, ვიღაც იქნებ კიდეც გვაგინებს, მაგრამ, ვფიქრობ, არაფერია: ერთ-ორ წელს იწვალებს. შემდეგ კი მიხვდება, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. ოჯახიც მოღონიერდება. ტექნიკაც უკეთეს ხელში იქნება. და, რაც მთავარია, ჯანმრთელობაც იქნება, ყველაფერი გაუმჯობესდება.

სოფლის მშრომელებთან გამომშვიდობებისას მ. ს. გორბაჩოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა მათ საუბრისათვის. გისურვებთ ყველას, თქვა მან, ჯანმრთელობას, და იმას, რომ მტკიცედ იდგეთ აქ პოზიციებზე. ჩვენ კი შორეულ აღმოსავლეთთან სულ უფრო ახლოს და ახლოს ვიქნებით.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი ეწვია აღმოსავლეთის ნავსადგურს. ეს ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე შექმნილი მსწავლი საზღვაო სატრანსპორტო კვანძი მომარჯვებულია მოწინავე ტექნოლოგიისათვის. ტვირთის ძირითად ნაკადს აქ კონტეინერებით ამუშავებენ. დატვირთვის სამუშაოთა ავტომატიზაციამ ძირფესვიანად უცვალა სახე ნავსადგურს. იკლო ხელის შრომამ, გაიზარდა წარმოების ეფექტიანობა და კულტურა, საამედოდ არის უზრუნველყოფილი ტვირთის დაცვა-შენახვა. კიდევ ერთი სანავსადგურო პირსის — ქვანახშირის მექანიზაციის მაღალმა დონემ მნიშვნელოვნად დაჩქარა დატვირთვის ვადები, გაუმჯობესა დოკერთა შრომის პირობები.

13 წლის წინათ აქ პირველი ნავმისადგომი გადაეცა საექსპლოატაციოდ. ამ ხნის მანძილზე დამუშავდა 25 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი. წელს ნავსადგურის მუშაკებს დაგეგმილი აქვთ გადაამუშაონ 7,8 მილიონი ტონა — გემაზე 500 ათასი ტონით მეტი.

ნავსადგურშია და შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს ხელმძღვანელებთან საუბრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დაინტერესდა ტვირთზიდვის ვადების დაჩქარების საკითხებით, მომჯნავეებთან — რკინიგზელებთან და ავტომობილისტებთან ურთიერთკავშირით.

ამ მხარეში ურიგოდ არ მოწყობილხართ, ეგ არის, კარგი ამინდი გაკლიათ, მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა ნახოდკის მცხოვრებთ, რომლებიც მას ნავსადგურიდან მომავალს ხვდებოდნენ. თქვენი ნავსადგური კი, ალბათ, ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში ტვირთის დამუშავების მხრივ. საუცხოო ნავსადგურია!

მოქალაქეები: და არა მარტო ნავსადგური, განა ცუდია ჩვენი ქალაქი? გვაქვს ორი გემთსარემონტო ქარხანა, აქტიური საზღვაო თევზჭერის ბაზა, მაგრამ ხალხი, რა თქმა უნდა, არ გვყოფნის.

მ. ს. გორბაჩოვი: აქ, გულწრფელად თუ ვიტყვით, ყველაზე დიდი შეცდომა, ჩემი აზრით, ის იყო, რომ წარმოება უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე საბინაო სფერო, ადამიანის მომსახურების სფერო.

ნახოდკის მცხოვრებთ რომ ემშვიდობებოდა, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: მოხარული ვარ, რომ თვალი მაინც შევავლე ნახოდკას. ვხედავ, ხალხი გულდაჯერებული, ჩვენებურია. ხასიათით ჩვენი. და სადაც უნდა ჩახვიდე, ყველგან, როგორც ჩვენ ვამბობთ, ინტერნაციონალია. ეს ჩვენი ქვეყანაა. და კარგია, რომ ადამიანები ერთსულოვნად ცხოვრობენ, მხარში უდგანან ერთმანეთს. ნიჭიერი ხალხი გვყავს. ტალანტები არ გვაკლია, არც მუშათა კლასს, არც კოლმეურნე გლეხობას, არც მეცნიერებს. ჩვენი ხალხი თავისი ქვეყნის ერთგულია, და შეუძლია წყვეტდეს დიდ საქმეებს.

ხმები: დიახ, შორეულაღმოსავლელები მზად არიან ამისათვის!

მ. ს. გორბაჩოვმა ყვავილებით შეამკო დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულ ნახოდკის მცხოვრებთა ხსოვნის პატივსაცემად აგებული მემორიალი.

ა. ბელიკოვი,
ბ. გრიშჩენკო,
ნ. ჟელეზნოვი,
საკდესის სპეციალური კორესპონდენტები.

სურათზე: ნახოდკაში ყოფნის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ზრომითი ქრონიკა

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის“ ვიმპელს?

ვთიბოთ და ვთიბოთ ბალახი

სწრაფი ტემპით

— **ვინ** დაამზადებს ყველაზე მეტ საკვებს, ვინ მოიპოვებს გაზეთ „კომუნისტის“ ვიმპელს? ამ მოწოდებამ ენთუზიაზმი და ხალისი შეგვმატა. ყველას უნდა გამარჯვება, თავი ვის არ ესახელება? ჩვენც ჩავებით საერთო ფერხულში. დილადან გვიან სალამომდე მინდორში ვართ. ვთიბავთ ბალახს, — გვითხრა ზნაურის რაიონის ვილეების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომბაინერმა ალექსანდრე ქოქოევმა. და მართლაც, საკვების დამზადების კამპანია ფართო ფრონტით არის გაშლილი.

წელს 345 ტონა თივა, 1350 ტონა სილოსი და 1150 ტონა ნამჯა უნდა მოიმარაგონ გელეებელებმა. ყველა ერთსულოვნად დაირაზმა, რათა გამოიყენონ ყოველი ხელსაყრელი საათი. ხშირ წვიმებს, ავდარს ისინი მამაცურ შრომას უპირისპირებენ. საკვების დამზადებაზე მუშაობს ორი იჯარით მომუშავე კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადა, რომლებსაც გივი ბაბაევი და ხაზბი ფუხაევი ხელმძღვანელობენ. მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი ვლადიმერ ფუხაევი აქებს კომბაინერებს. ისინი აგრეგატებს შეუფერხებლივ ამუშავებენ, დღეში 10-15 ჰექტარს თიბავენ, მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ და ამიტომაც დაიმსახურეს საკვებმოპოვების დარგში მეურნეობის პრემიები. სასენაჟე მასის დროული აღებისათვის ალექსანდრე ქოქოევმა მიიღო პირველი პრემია — 80 მანეთი, გივი გაგიევმა კი მეორე პრემია — 50 მანეთი. ახლა ისინი 300 ჰექტარ ერთწლოვან ბალახებს თიბავენ.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საკვებმოპოვებლები აქტიურობენ

[illegible] საკვებმომოპოვებლებს გადაწყვეტილი [illegible] ინიციატივებმა [illegible] ყველა პირუტყვი. ამიტომ რაიონში მოიმატა მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების ნათესების ფართობმა. სპეციალისტები უკეთ დაეუფლნენ ბალახების თესვა-მოყვანის პროგრესულ ტექნოლოგიას.

წარმატებით მიმდინარეობს მწვანე მასის აღება. რაიონში საგეგმო 4000 ტონა სენაჟის ნაცვლად 4530 ტონაა ჩადებული. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოჩინა თავი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსის კოლექტივმა. 1650 ტონის ნაცვლად უკვე დამზადდა 2500 ტონა სენაჟი. მწვანე მასის მოსავალმა ჰექტარზე საშუალოდ 210 ცენტნერი შეადგინა.

საკვების დამზადებაში განსაკუთრებით აქტიურობენ კომპლექსის მექანიზატორთა უგანრიგო რგოლები, რომლებსაც გამოცდილი მექანიზატორები დავთ გიორგაძე და მახადინ აიუბოვი ხელმძღვანელობენ.

ბ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ შტატგარეშე კორ.

აგვისტოს ანგარიშში

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). „ტყვარჩელის“ შახტსამმართველოს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის კოლექტივი აგვისტოს ანგარიშში განაგრძობს შრომას. აქაურმა მეშახტეებმა წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით ამოიღეს 3.300 ტონაზე მეტი ქვანახშირი. განსაკუთრებით დიდნაყოფიერად შრომობენ იმ უბნების სამთოელები, რომლებსაც მ. ჭარბაძე და ე. ტურავა უდგანან სათავეში.

ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ პ. ახსავა, ქ. ხარჩილავა, ჯ. ტაბლახაძის და სხვათა ბრიგადები, რომლებიც აგვისტოს ანგარიშში შრომობენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

ოზი. (საკ. კორ.) რაიონის სამრეწველო საწარმოთა ფლაგმანი — ჩორდის ბარიტის მაღაროსამმართველოს კოლექტივი დაუღალავად შრომობს ახალი ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. სამეურნეო წლის პირველი ნახევარი მებარიტეებისათვის მაღალი სამეურნეო მიჯნების მიღწევის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დაუღალავი შემოქმედებითი ძიების პერიოდი იყო. სამმართველომ ვადამდე შეასრულა ბარიტის მოპოვების იანვარ-ივნისის დავალება, 1620 ათასი მანეთის ნაცვლად 1650 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გაუგზავნა მომხმარებელს. საგულისხმოა, რომ წარმოების ზრდის ტემპმა შესამჩნევად გაუსწრო გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

საწარმოს საამქროებში და მამდიდრებელ ფაბრიკაში ბევრი რამ გაკეთდა ტექნოლოგიური პროცესების დასახვეწად და შრომის მოწინავე მეთოდების დასანერგავად, რამაც გაზარდა თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება. დიდი ყურადღება ექცევა ნაწარმის თვითღირებულების შემცირებას.

გრაფიკს გაუსწრეს

ტყიბული. (საკ. კორ.). ცენტრალური ელექტრო-მექანიკური სახელოსნო ერთ-ერთი დიდი სამრეწველო საწარმოა ქალაქში. აქ სამთო მექანიზმებს არემონტებენ. შეკეთებული ძვირადღირებული დანადგარები რესპუბლიკის ყველა შახტში იგზავნება.

საწარმოს კოლექტივმა წლის განელილ პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაუსწრო გრაფიკს და დავალება ვადამდე შეასრულა.

ბევრი რამ გაკეთდა ახალი ტექნიკის დასანერგად. შრომითს წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი ლითონის სამაგრის საკეტის გაუმჯობესებული კონსტრუქციის დანერგვამ. სიახლემ გააუმჯობესა სანგრევის ჭერის გამაგრების ხარისხი, უფრო უშიშარი გახადა მეშახტეთა შრომა.

სამთო საწარმო ამაყობს თავისი შესანიშნავი ადამიანებით. საუკეთესოთა შორის საუკეთესონი არიან ელექტროზეინკლები ლ. სამაკაშვილი, ნ. ხოლოშეიკო, მ. სოხაძე, მჩარხავი ე. ჩახუნაშვილი, მქვედელი გ. ერაძე და სხვები. დამკვრელური შრომა გრძელდება.

საიმედოობა და ხარისხი

გადიდებული სიმტკიცის დეტალების მიწოდება დაიწყო საბეჭდი ფირფიტების საამქროს, რომელიც მწყობრში ჩადგა თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხანაში. ასეთი კვანძების გამოყენება შესაძლებელს გახდის აითვისონ განსაკუთრებული სიზუსტის რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების გამოშვება.

გაერთიანებაში მიმდინარეობს ტექნიკური განახლება. მმართველი გამომთვლელი მანქანების საამქროებში ავტომატიზებულია ყველა სამუშაო ადგილი. პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ხელს უწყობენ ავტომატიზებული სტენდები, რომლებზეც სპეციალური პროგრამების მეშვეობით ამოწმებენ ბლოკების მუშაობის უნარს. საინსტრუმენტო საამქროში იყენებენ ავტომატური დაპროექტების სისტემებს. მათი დამზადებით ადგენენ პროგრამებს რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხებისათვის.

ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ყველასა და თითოეულის საქმეა!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 26 ივლისს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა განიხილეს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესახებამისად.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ განვლილი დრო — ეს არის მის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული და გეგმაზომიერი განხორციელების დრო. ჩანაფიქრთა ენერგია თანდათანობით გადაიქცევა მოქმედების ენერგიად, ხანი გაუსვა მომხსენებელმა.

პარტიის XXVII ყრილობამ აღიშნა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაა და რომ მშრომელები სამართლიანად სვამენ საკითხს, განხორციელდეს ღონისძიებანი ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელად. როგორც ყრილობაზე ამბობ. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ცენტრალური კომიტეტი მთლიანად უჭერს მხარს ამ მოთხოვნებს. საჭიროდ არის მიჩნეული უკვე უახლოეს დროში განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იქნება მუქთახორების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, შექრთამეების, იმათ წინააღმდეგ, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების შრომითი ბუნებისათვის უცხო გზას.

და აი სკკპ ცენტრალური კომიტეტი იღებს დადგენილებას „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ამ საკითხის გამო მიღებულია აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულება.

ასე იქცევა ჩვენს პარტიაში სიტყვა საქმედ! ეს დამატებითი ღონისძიებანი გამოწვეულია იმით, რომ, კონტროლის შენელების შედეგად, გაჩნდა ადამიანთა ჯგუფები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მაყფიოდ გამოხატული მესაკუთრული მისწრაფებანი. საზოგადოებრივი ინტერესებისადმი აგდებული დამოკიდებულება. ეს ღონისძიებები, რომლებიც პატიოსანი, დიდნაყოფიერი შრომის ავტორიტეტის გადიდებისათვის ჩვენი სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულებაა, მიზნად ისახავს ამავე დროს შრომისა და მოხმარების ოღენობისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შემდგომ გაძლიერებას, ვინაიდან მიჩნეულია, რომ ანგარებითი გამოვლინებების აღმოფხვრისათვის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობას ძირეული გაუმჯობესება სჭირდება. ასეთივე მიდგომას მოითხოვს ეს მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაშიც.

პარტიული აქტივის ახლანდელი კრების წინ ყველგან გაიმართა კრებები, ყრილობები, კოლეგიური ორგანოების სხდომები, რომლებზეც განხილულ უშრომელი შემოსავლის წყაროების აღმოფხვრისათვის გამიზნული ამოცანები. ისინი მიმდინარეობდა დიდი აქტიურობის, დაინტერესების, საქმიანობის ატმოსფეროში. საზოგადოების ყველა სფეროში მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის პარტიის ღონისძიებები ერთსულოვნად მოიწონეს და მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა.

იმისათვის, რომ შევიმუშაოთ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი, უნდა ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე. ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაში სერიოზული ცალკეულ რეგიონებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, კერძოდ, მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში. ჯერ კიდევ არ არის გადაკეტილი უშრომელი შემოსავლის მიღების არხები სახაგრომრეწვის სისტემაში, სადაც მაქინატორები და საქმოსნები სარგებელს ნახულობენ კვების პროდუქტების ხარისხის გაუარესებითაც კი. ბევრი დარღვევაა მშენებლობაში. აქ უწინდებურად გავრცელებულია წამატებები და თვალის ახვევა. ამის გამო კი ზარალდებიან ადამიანები: ბინის ხარისხი წლითიწლითი უარესდება, ხარჯები სამშენებლო წუნის ლიკვიდაციისათვის კი იზრდება. საქალაქო სამსახურების ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა მუშაკმა უშრომელი შემოსავლის წყაროდ გაიხადა ბინების უკანონო განაწილება.

სსრ კავშირის მთავრობამ სადილი გაუმართა თ. ოზალსა და მის მეუღლეს. ნ. ი. რიჟკოვმა და თ. ოზალმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა (საკდესი).

მოლაპარაკება კრემლში

28 ივლისს კრემლში დაიწყო ნ. ი. რიჟკოვისა და თ. ოზალის მოლაპარაკება. გაიმართა აზრთა საფუძვლიანი გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. დეტალურად განიხილეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის მდგომარეობისა და მეი ლი მისი კომპლექსის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების პერსპექტივები.

იმავე დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრთან არსებული სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაციის თანამშრომლობის შესახებ და სსრ კავშირის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრა აქტივთან

ვლადივოსტოკი. 29 ივლისი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც აქ იმყოფება, შეხვდა სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის ბიუროს და სამხარეო აღმასკომის წევრებს, პარტიული და სახელმწიფო აქტივის მუშაკებს.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი ამურის კომსომოლსკში გაემგზავრა.

ნათელი და თანმიმდევრული ხელოვნება

მთავრდება კიევის ივანე ფრანკოს სახელობის აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის გასტროლები თბილისში. უკრაინელმა მსახიობებმა აქ უჩვენეს რვა სპექტაკლი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათით, მსახიობთა ანსამბლით, რეჟისორული გადაწყვეტით. თეატრალურმა კოლექტივმა კვლავ დაადასტურა, რომ იგი თანამოაზრე მსახიობთა ნიჭიერი ანსამბლია, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომავალ უკრაინის კულტურულ ცხოვრებაში.

31 ივლისს ჩვენს სტუმრებს გამოსათხოვარი გამოსვლა აქვთ. ისინი უჩვენებენ სპექტაკლს „ძია ვანოს“ ა. ჩეხოვის პიესის მიხედვით. უკრაინელმა სცენის ოსტატებმა ახლებურად და ორიგინალურად წაიკითხეს კლასიკური რუსული დრამატურგიის ეს ნიმუში. ჩეხოვის გმირები მათი ინტერპრეტაციით უკვე სამჯერ გაცოცხლდნენ გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე, სადაც ერთი თვის განმავლობაში მართავს სპექტაკლებს კიევის თეატრი. თბილისელებმა გულწრფელად შეიყვარეს კიეველთა ნათელი და შთაგონებული ხელოვნება, ღირსეულად შეაფასეს მათი ოსტატობა.

29 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სუბბოი კიევის აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობთა ჯგუფთან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა მიულოცა შემოქმედებითს კოლექტივს წარმატებული გასტროლები თბილისში და აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა თეატრის მოღვაწეთა ასეთ შემოქმედებითს კონტაქტებს, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებას. კიევის თეატრის გასტროლები ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის მატიანის კიდევ ერთი მკაფიო ფურცელი გახდა. შეხვედრაზე უკრაინის კოლექტივს მადლობა გადაუხადეს ხელმძღვანელებს გადამცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა თეატრის ხელმძღვანელებს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპასუხი.

სიახლე, ინიციატივა, გამოცდილება

ახალგაზდა მეურნეობის წარმატება

თუ გული გულობს, რა სასიკეთო საქმე არ შეიძლება გაკეთდეს ადამიანის გონებითა და ხელით. ეს ითქმის სიღნაღის რაიონის კოლმეურნეებზე, რომელთა სავარგულები მდინარე ალაზნისა და ივრის ნაპირებზეა განლაგებული. აქ წყალი დატბორეს, თევზი მოაშენეს, ზოგ წყალსაცავს სარწყავადაც იყენებენ.

ისევე, როგორც ყველა სხვა დარგი, მეთევზეობაც სპეციფიკურია, თავისებური ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ამას მაინ მიხვდნენ კოლმეურნეები, როცა თევზი კარგად მოამრავლეს, საქმეს ეკონომიკური თვალით შეხედეს. წვრილ მეურნეობას ხომ ზოგჯერ ხარჯი მეტი აქვს, ვიდრე შემოსავალი!

როცა ამ ორი წლის წინათ ცამეტი კოლმეურნეობის წარმომადგენელთა დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით მეთევზეობის სამეურნეოთაშორისო საწარმოო გაერთიანება შეიქმნა, საქმეს ეკონომიური პატრონი გაუჩნდა. მოსაწესრიგებელი მოწესრიგდა და პირველივე წელიწადს 75.000 კილოგრამი თევზი მიეყიდა რაიონის მოსახლეობას. გაუმჯობესდა სხვა მაჩვენებლებიც. მეურნეობაში აღრიცხა 200.000 მანეთის შემოსავალი, 75.000 მანეთი მოგება, შეიცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ახალგაზდა მეურნეობა ყოველდღიურად, ყოველწლიურად ახალ-ახალ მიჯნებს ეუფლება, თავისი წვლილი შეაქვს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. შარშანდელი 32 ჰექტრის ნაცვლად, წლეულს წყალსაცავების ფართობი 200 ჰექტარს მიაღწევს. ტბორში გაუშვებენ 890 ათას ცალ ერთწლიან თევზს, პროდუქციის მოცულობა კი 200 ტონას მიაღწევს.

— რა პერსპექტივებს ისახავს თქვენი მეურნეობა სამომავლოდ, — ვეკითხებით მეთევზეობის სამეურნეოთაშორისო საწარმოს დირექტორს ა. ბეჟიაშვილს.

— 1990 წლისათვის უნდა ვაწარმოოთ 456 ტონა თევზი, ხოლო 2.000 წლისთვის — 750 ტონა. შესაბამისად, ერთიორად და მეტად გავზრდით წყალსაცავების მოცულობას, ხარისხობრივი პროდუქციის გამოსავლიანობას, — გვითხრა მან.

— იზრდება მოთხოვნილება ლიფსტებზე, — ამბობს მთავარი იქთიოლოგი გ. მარტაშვილი, — მისი შემოყვანა გვინდება სხვა რესპუბლიკებიდან, რაც დიდ ხარჯებთან და სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მარტო წლეულს მეურნეობამ სხვა რესპუბლიკებიდან 50.000 მანეთის ლიფსტა შემოიყვანა, ესე იგი მოთხოვნილების 50 პროცენტი. ამასთანავე, დიდია მგზავრობის დროს დანაკარგები, ირღვევა მოშენების გრაფიკი და სხვა.

ამ სიძნელეთა თავიდან აცილების მიზნით საჭირო მეურნეობასთან აშენდეს ტიპობრივი სანკუბატორო საამქრო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საკუთარ მეურნეობას, ისე სხვა საწარმოებს, თევზს მოაშენებს მდინარეებსა და წყალსაცავებში.

ამ საქმეში დახმარებას სიღნაღელი მეთევზეები რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის საბამისი სამსახურისაგან მოელიან.

ვლ. მჟედლიშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ყველას და ყოველის საქმეა!

(დასასრული)

ბოლოს, ბოლო მოეღოს ბოროტმოქმედებას ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში. იმას, თუ რამდენად შორს გაიდგა აქ ფესვები უშრომელ შემოსავალთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, ცხადყოფს ბოროტმოქმედება, რომელიც ჩაიდინეს ამჟამად დაპატიმრებულმა ვაჭრობის სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ სიჭინავამ და ცეკავშირის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსმა კვიციანმა. პარტიიდან გარიცხეს და თანამდებობიდან გათავისუფლეს თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი მზიეძე. სამუშაოდან გათავისუფლეს ვაჭრობის მინისტრი ქაჯაია, რომელიც მფარველობდა საეჭვო პირებს და საქმოსნებს. დამთავრდა გამოძიება და სასამართლოს გადაეცა თბილისის საქალაქო აღმასკომის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაერთიანების ყოფილი უფროსის წიქარიშვილის მექრთამეობისა და სხვა ბოროტმოქმედების საქმე.

როგორც ჩანს, პარადოქსულად უნდა მივიჩნიოთ, როცა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა გვიწევს განთლების სისტემაში, სადაც მორალური სიწმინდე მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საფუძველი, საზომი უნდა იყოს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ბევრი მუშაკი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სტუდენტებ ი ს, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისაგან მიღებული ქრთამის გამო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რეპეტიტორობის, ფულის შეწირის, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ყოველგვარი ძვეთნის მიღმა უფრო საშინელი რამ იმალება, ვიდრე უშრომელი შემოსავალი. ეს არის მოსწავლის, მისი მშობლების შებღალული შინაგანი სამყარო. ეს არის ის, რომ საფრთხე ექმნება აღსაზრდელის რწმენასა და პატივისცემას მასწავლებლის მიმართ. განათლების სამინისტრომ და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა უფრო ოპერატიულად უნდა დასახონ ასეთი მოვლენების აღმოფხვრისათვის გამიზნული ერთობლივი კონკრეტული ღონისძიებანი.

ზშირად უშრომელი შემოსავლის, პირადი გამდიდრების წყარო ხდება სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო-საბიჯეტო და სამეურნეო-სახელშეკრულებო თემების დამუშავება. აქაც ვხვდებით წამატების, თვალის ახვევის, გამოყოფილი სახსრების არაეფექტიანად გამოყენების, სამუშაოთა ღირებულების ხელოვნურად გადიდების ფაქტებს. ასეთი ფაქტები გამოვლინდა პოლიტექნიკურ, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში.

ნეგატიურმა მოვლენებმა იჩინა თავი ჯანმრთელობის დაცვის სფეროშიც, ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მისი კოლეგია კი არ ახორციელებენ რეალურ ღონისძიებებს, რათა აღმოფხვრან გამომძალველობის, თავიანთი ჰუმანური მოვალეობის შესრულებისადმი ექიმების დანაშაულებრივი დაუდევარი დამოკიდებულების, უკანონო კერძო პრაქტიკის ფაქტები. და საქმე აქ მარტო ის კი არ არის, რომ ამ დროს ილაზება საბჟოთა მედიკოსის ავტორიტეტი, რამდენადაც ის, რომ ირყევა პარტიის სოციალური პოლიტიკის საფუძვლები. მარტო შარშან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ბევრი მუშაკი ანგარებისა და დარღვევებისა და დანაშაულებათვის.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნეგატიურმა მოვლენებმა, კერძოსაკუთრულმა ტენდენციებმა შორს გაიდგა ფესვი, შეაღწია საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. სოციალიზმის ბუნებისათვის უცხო უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრა როგორც ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და აღმზრდელობითი ამოცანაა. აი, რატომ უნდა იყოს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები შესაბამისად ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციულ-პარტიული, იდეურ-აღმზრდელობითი.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო, ყველაზე ეფექტიანი მეთოდი უწინარეს ყოვლისა საქონლისა და პროდუქტების სიუხვის შექმნაა. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიეპყროს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის დადგენებას, მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მატერიალური და ორგანიზაციული წანამძღვრების შექმნას, როგორც უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

ბოლო დროს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს მშრომელთა საქონლით უზრუნველყოფის დონე ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. ეს ეხება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც. დეფიციტს აღრმავებს საქონლის დაბალი ხარისხი, შუშაობის ცუდი ორგანიზაცია, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი მუშაკის, უთაღრაღობა და უპასუხისმგებლობა. ხშირად კი არაკეთილსინდისიერება.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების ბაზრის განვითარების 1986-2000 წლების პროგრამის შესაბამისად რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის მოთხოვნის შემდგომი დაკმაყოფილების ღონისძიებანი. უკვე ხუთწლედის დამლევისათვის დასახულია ზოგიერთი ნაწარმის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდოს მოცულობით, რომელიც აღემატება რაციონალურ ნორმებს, ცალკეული საქონლის მიხედვით კი უახლოვდება მათ.

ამ ამოცანების რეალიზაციაში თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ძმიმე ინდუსტრიის საწარმოებმა, რომლებმაც არსებითად უნდა გაზარდონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების მრავალფეროვანი ხარისხიანი საქონლის გამოშვება, დაძლიონ ამ სახეობათა პროდუქციის გამოშვებაში საგეგმო დავალებათა სისტემატური შეუსრულებლობის ფესვგადგმული ტენდენცია.

ბაზრის უხვად მომარაგებაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს, სახაგრომრეწვს. მათი უპირველესი ამოცანა ის არის, რომ გაიფართოონ პროდუქციის ასორტიმენტი და ძირეულად გაიუმჯობესონ მისი ხარისხი. არა მარტო უნდა ვაწარმოოთ საქონელი, არამედ დროულად უნდა მივაწოდოთ იგი მომხმარებელს. ეს არის ვაჭრობის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის ამოცანა.

გათვალისწინებულია ფასიანი მომსახურებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების ვრცელი პროგრამა. ამავე დროს პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, განსაკუთრებით ადგილობრივმა ორგანოებმა, მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ სოციალური სფეროს განვითარების დამატებითი რეზერვების ძიებას, ადგილობრივი შესაძლებლობებისა • და რესურსების უფრო სრულად გამოყენებას და ამ საფუძველზე უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლედის სოციალური პროგრამა.

მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ცხოვრების დონის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვმართავთ ამ პროცესს და ვგეგმავთ მას, რამდენად საგნობრივად ვსწავლობთ და ვაპროგნოზებთ მოთხოვნას. რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახების ერთობლივ პირველადს შემოსავალში უმეტესი ხვედრითი წილი უკავია ხელფასს, კოლმეურნეთა ოჯახებში — პირადი დამხმარე მეურნეობის პროდუქტების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს, რომელიც 2,5-ჯერ აღემატება კოლმეურნეობაში მუშაობით მიღებულ შემოსავალს. გლეხთა გარკვეული ნაწილი თანდათანობით მომხვეჭელად გადაიქცა. თუ რა მოსდევს კერძოსაკუთრულ ტენდენციებს, ამას მოწმობს ის, რომ რესპუბლიკის მოსახლეობამ კერძო პირებს სასურსათო საქონელში შარშან გადაუხადა ჯეროს პროდუქტებზე ხარჯის 35 პროცენტი. თანაც ათობით მილიონნი მანეთი კერძო სექტორმა მიიღო საკოლმეურნეო ბაზრის გვერდის ავლით. დაჰყოლია რა ბაზრის სხვადასხვა ჯიხის მაქინატორებისა და სპეკულანტების ნებას და ფასს, ფულებს, ბლეხი გარკვეულწილად უშრომელ შემოსავალს იღებს. კერძო წარმოება იზრდება საზოგადოებრივი წარმოების საზიანოდ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამუშაო დროის ფონდის ხარჯზე. კოლმეურნეთა მხოლოდ 30-მდე პროცენტი მუშაობს სრული დატვირთვით.

პირადმა დამხმარე მეურნეობამ არ უნდა დაკარგოს თავისი სახე. უნდა ვეძებოთ და განვახორციელოთ დიფერენცირებული მიდგომა მისი განვითარების პრობლემების გადაჭრისადმი. ამ მუშაობას საგნობრივად უნდა ეწეოდნენ რესპუბლიკის სახაგრომრეწვი, რაიონული, აგროსამრეწველო გაერთიანებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეა პარტიის რაიკომებისათვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის.

დისციპლინის განმტკიცების, სპეკულაციასთან, იოლი გამდიდრების მოყვარულებთან ბრძოლის გაძლიერების, პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის გაუმჯობესებისა და მოწესრიგების მიზნით ერთი წლის წინათ შემოღებული იყო, ექსპერიმენტის წესით, უნიფიცირებული ცნობები, რომლებიც საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის ნებართვას იძლეოდა. შემდეგ ისინი შეიცვალა ერთიანი ნიმუშის მოწმობებით. ეს ღონისძიებანი მთლიანად შეესაბამება უმრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, რომლებთანაც გათვალისწინებულია დადგინდეს საკოლმეურნეო ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოვაჭრე პირთა აღრიცხვის წესი.

სიახლის უპირატესობა უდავოა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განმტკიცდა დისციპლინა. გაუმჯობესდა სოფლად შრომითი რესურსების გამოყენება, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები. მკვეთრად შემცირდა იმ მუშაკთა რიცხვი, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში. ყოველივე ამის შედეგად რამდენადმე გამარტივდა მოწმობების გაფორმებისა და გაცემის პროცესი, რომლებსაც ახლა ხელს აწერს მხოლოდ ბრიგადირი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გვაფრთხილებს, არ მოგვივიდეს გადახრები უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების დროს, არ დავამახინჯოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა არსი.

ამ საქმეში, ისევე როგორც ყოველ სხვა საქმეში, შეუწყნარებელია ფორმალიზმი და მოჩვენებითი აქტიურობა. სკკპ XXVII ყრილობაზე ამის გამო მკაფიოდ ითქვა, რომ, როცა უშრომელ შემოსავალს აღვკვეთავთ, არ უნდა დავუშვათ, რომ ჩრდილი ადგებოდეთ იმათ, ვინც პატიოსნი შრომით დამატებით შემოსავალს იღებს.

უშრომელ შემოსავალთან ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოწესრიგებასთან ერთად. მხოლოდ ასეთი ურთიერთშემავსები ღონისძიებანი მოიტანს საგრძნობ შედეგებს, განამტკიცებს დისციპლინას, ხელს შეუწყობს თითოეულ შრომითს კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას. მხოლოდ მაშინ შეძლებთ აღმოვფხვრათ ისეთი მდგომარეობა, რომელიც შარშან შეექმნა, როცა რესპუბლიკის მოსახლეობამ კერძო პირებს არასასურსათო საქონელში გადაუხადა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. მომსახურებაზე მოსახლეობის ხარჯების დაახლოებით მესამედი მოდის კერძო პირების წილად, მათ ჯიბეში გადავიდა ათობით მილიონნი მანეთი. ასეთსავე თანხას იღებენ კერძო პირები, რომლებიც ასწორებენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს დაშვებულ ხარვეზებს.

ნაკლები როდია დატაცების, მექრთამეობის, წამატებებისა და თვალის აბეზეგის შედეგად უშრომელი შემოსავლის გადანაწილებისა და მიღების თანხები. დატაცებისა და მოგების მიზნით კომბინაციებს გზას უხსნის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების, ნორმატიული შეუნრეობის ხელმაშვებულობა, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაკვა-შეხვისადმი სუსტი კონტროლი. ფინანსთა სამინისტრო და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ვალდებულნ არიან იჩენდნენ მეტ პრინციპულობას აღრიცხვის პროგრესული ფორმების გავრცელებაში, შესაბამისი სამსახურებისადმი საჭირო მეთოდიკური ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული დახმარების უზრუნველყოფაში.

უშრომელი შემოსავლის მიღებასთან ბრძოლის აქტიური მიმართულებაა წესრიგის დამყარება ნორმატიულ მეურნეობაში. ჩვენი დღევანდელი უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ პირობები, რათა პატიოსანი, კეთილსინდისიერი, დიდნაყოფიერი და მაღალხარისხოვანი შრომა ღირსეულად ნაზღაურდებოდეს. ამიტომ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სწარმოებს, შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა დაამყარონ წესრიგი შრომის ნორმირებასა და ანაზღაურებაში, მისი ორგანიზაციის სრულყოფაში.

მნიშვნელოვანია ფასწარმოქმნის საკითხები, რომელთა რეგულირებაში ბევრი რამ უნდა გააკეთონ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სხვა სამსახურებმა, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფასების პოლიტიკის განხორციელებისათვის. არის საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის, თანამდებობრივ სარგოთა მომატების შემთხვევებიც. ბევრია შეთავსების კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი. უაღრესად საჭიროა დაბეგვრის სრულყოფა.

სახალხო მეურნეობის დარგებში სათანადო წესრიგის დამყარებისათვის, დატაცების, გაფლანგვის, სახელმწიფო სახსრების მითვისების, თანამდებობრივი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებს. სამწუხაროდ, ეს ქვეგანაყოფები ჯერჯერობით სუსტ გავლენას ახდენენ საქმის ვითარებაზე, მათ ჯერ კიდევ არ დუკავებიათ შეტევითი პოზიცია. იზრდება ფინანსთა სამინისტროს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო ქვეგანაყოფების პასუხისმგებლობა მოქალაქეთა შემოსავლის კანონიერებისადმი კონტროლისათვის დეკლარაციების სისტემის გამოყენების გაფართოებასთან დაკავშირებით. საკონტროლო საქმიანობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საბანკო დაწესებულებებს, განსაკუთრებით სახელმწიფო ბანკს.

უშრომელ შემოსავალთან ბრძოლაში, დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის თავიდან აცილებასა და გადაჭრით აღკვეთაში უმთავრესი როლი ეკისრებათ სამართალდაცვითს ორგანოებს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს მექრთამეობისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების, საგამოძიებო აპარატების მუშაობა. წინა პლანზე მარტო ის ამოცანა როდი დგება, რომ უზრუნველვყოთ მაღალი პროფესიონალიზმი მექრთამეთა, დამტაცებელთა, სპეკულანტთა დროულ მხილებასა და დანაშაულებათა გამოძიებაში. საქმეზეა გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტიანობის გადიდებას, და ეს ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან მჭიდრო კონტაქტით.

ყოველი საქმის წარმატება საბოლოო ანგარიშით ადამიანებზეა დამოკიდებული. მინდა ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ შეეეხო მილიციის მუშაკთა დიდ რაზმს — უბნის ინსპექტორებს, რომლებიც, არსებითად, ვალდებულნი არიან გადაწყვიტონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოცულობის ამოცანები. სამწუხაროდ, ბევრი უბნის ინსპექტორი ცუდად ართმევს თავს მოვალეობებს. ახლა მიმდინარეობს ამ სამსახურის ორგანიზაციული გარდაქმნა, და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ პარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებთან ერთად ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ უბნის ინსპექტორი იდგეს თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე, უნარიანად აწყობდეს თავის უბანში მჭიდრო ურთიერთმოქმედებას ამხანაგურ სასამართლოებთან, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან, სამართალდაცვევეებთა პროფილაქტიკის სტბჭოებთან, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებთან.

ამ ბოლო დროს გარკვეული დადებითი ძვრები ხდება რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანობაში. წინა წლებში დაშვებულ ბევრ შეცდომასა და ნაკლს ძლევენ. მაგრამ ეს მუშაობა ყველგან ერთნაირი აქტიურობით რაიდ მიმდინარეობს. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებთან დაკავშირებით, პროკურატურის კოლეგიებ სეიროზულად უნდა გაერკვნენ საერთო ზედამხედველობის განყოფილების საქმიანობაში, რომელიც უნდა გახდეს სამეურნეო დანაშაულობის, წამატებებისა და სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში პროკურატურის ორგანოების მთელი საქმიანობის კორონდშტარი.

უკიდურეს შეშფოთებას იწვევს უშრომელი შემოსავლის მიღების ისეთი განსაკუთრებით საშიში სახეობა, როგორიც არის ნარკოტიკებით ვაჭრობა. ნარკოტიკების გასაღებით მიღებული უშრომელი შემოსავალი — ეს გაცილებით უფრო საშიში დანაშაულია, ვიდრე რომელიმე სხვა სახეობის უკანონო საქმიანობა. ეს არის ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე მიღებული შემოსავალი. ეს დამნაშავეობის განსაკუთრებული კატეგორიაა!

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ავტორიტეტი მარტო მათს პროფესიონალიზმზე როდია დამოკიდებული. საჭიროა, მილიციაში, პროკურატურაში, სახალხო სასამართლოებში მუშაობდნენ პატიოსანი, წესიერი ადამიანები, რომლებიც არ ილატაკნენ თავიანთ სინდისს. სამწუხაროდ, ამ ორგანოებში ჯერ კიდევ ბევრია მომხვეჭელი, მექრთამე, და მათგან გადაჭრით უნდა განვთავისუფლდეთ. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები სამაგალითონი უნდა იყვნენ სხვებისათვის, ჰქონდეთ არა მარტო იურიდიული, არამედ მორალური უფლებაც ეწეოდნენ ბრძოლას საქმოსნები, სპეკულანტების, მუქთადრების, ქურდების, დამტაცებლებისა და მექრთამეების, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს.

ბევრი ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანო არ გარდაიქმნება ახალი მოთხოვნების სულისკვეთებით, ნელა წმენდს საკუთარ რიგებს, ხშირად უკავია პასიური, ლოდინის პოზიცია. ჯერ კიდევ დანაგვიანებულია უპატიოსნო ელემენტებით შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყვნი დაცვა, რომლის მუშაკები ზოგჯერ თავად მონაწილეობენ დატაცებებში. საავტომობილო ტრანსპორტზე უწესრიგობის აღმოფხვრაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა, მაგრამ მათ შორისაც გავრცელებულია შეწერა და მექრთამეობა, სხვა ნეგატიური მოვლენები. არ არის წესრიგი არც მძღოლთა შემადგენლობის მომზადების სისტემაში. გამოვლენილია დოსაფის ავტოსკოლებში მექრთამეობის ფაქტები.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საკადრო პოლიტიკას. აი რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მოთხოვნას უყენებს ხელმძღვანელებს, პირველ პირებს. ანგარება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, უპატიოსნო ადამიანთა მფარველობა, როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. შეუთავსებელია ხელმძღვანელ პოსტებზე ყოფნასთან.

ყველაზე შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადეთ ქრთამს, რადგან, სადაც ქრთამია, იქ, როგორც ცნობილია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. ჩვენ ვილაშქრებთ ქრთამის წინააღმდეგ, რადგან სწორედ მექრთამეობა და გამომძალველობა გახდა თანამდებობის პირებისათვის უშრომელი შემოსავლის მიღების ყველაზე გავრცელებული მეთოდები. ხელქვეითი ყოველთვის ვერ გაბედავს ქრთამის აღებას, თუ ხელმძღვანელი არ უბიძგებს ამისათვის და არ აძლევს მაგალითს.

საძრახის საქმეებში აღმოჩნდნენ გარეული უბრირა და დარსალია — ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, მაისურაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ინსპექტორი, ბუჩუკური და თენეიშვილი — პარტიის საინსაღის და მახარაძის რაიკომების ყოფილი პირველი მდივნები და სხვები.

ყოფილი კულტურის მინისტრი ბადურაშვილი, როცა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორად მუშაობდა, ქრთამს იღებდა თავისი თანამშრომლებისა და მათი ოჯახების წევრებისაგან კოოპერაციული და კომუნალურ ბინების მიღებაში ხელშეწყობისათვის. მას მიესაჯა 15 წლის თავისუფლების აღკვეთა. მექრთამეობისათვის 13 წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ინსტრუქტორს ხოდელს, 12 წლის პატიმრობა — პარტიის საინსაღის რაიკომის ყოფილ მეორე მდივანს ხუნაშვილს.

ასეთია ფაქტები, ასეთია მწარე სიმართლე,. ასეთია გადაგვარებულთა და მოღალატეთა, იმათი სახე, ვინც თავისი დანაშაულებრივი მოქმედებით უდიდესი მორალური ზიანი მიაყენა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას. მექრთამეობამ ღრმად გაიდგა ფესვები რესპუბლიკის ცხოვრების ბევრ სფეროში. ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანასკნელ წლებში მიეცემულია ათობით თანამდებობის პირი, ხოლო მათ მიერ მიღებული ქრთამის საერთო თანხა ასიათასობით მანეთს შეადგენს.

უშრომელი შემოსავლის მიღების მეორე, არანაკლებ საშიში წყარო გახდა სოციალისტური საკუთრების, სახელმწიფო სახსრების დატაცება. და აქ გამოვლენილ დანაშაულობათა სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდ დატაცებებს სჩადიან ხელმძღვანელ მუშაკთა უშუალო მონაწილეობით.

რა ხდება? რატომ არის, რომ მექრთამეებმა და ვიგინდარებმა, აქა-იქ იმძლავრეს? როგორც ჩანს, იმიტომ, რომ პატიოსანი ადამიანები არცთუ ისე აქტიურად იბრძვიან მათ წინააღმდეგ, როგორც ვიგინდარები — პატიოსანი ადამიანების წინააღმდეგ.

პირდაპირ ვთქვათ: პარტიული კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ზოგიერთ ხელმძღვანელს მოუდუნდა სიფხიზლე, ისინი შეპყრობილი არიან ისეთი საშიში სენით, როგორიცაა პოლიტიკური სიბეცე. ისეთები არიან, რომლებიც, როგორც იტყვიან, წინააღმდეგი არ არიან „ხელი მოიბობონ“ იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ასეთებთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია.

რაც შეეხება იმათ, ვინც ვერაფერს ხედავს და არაფერი იცის, მათს პირად პატიოსნებასა და წესიერებაზე ლაპარაკი არ გვიხდება, რადგან იმ ხელმძღვანელის მოქმედებაში, რომელმაც შემოიკრიბა თაღლითები და ვიგინდარები, საქმოსნები და კომბინატორები, მისცა მათ, რომ იტყვიან, „მწვანე ქუჩა“, არ შეიძლება არ ვხედავდეთ ანგარებითს მიზნებს.

პატიოსნება და წესიერება აბსტრაქტული ცნებები კი არ არის, არამედ თვისებებია, რომლებიც უნდა ვლინდებოდეს კონკრეტული საქმეებითა და კონკრეტული ქცევით, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა. პატიოსანია ის, ვინც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს პარტიის ხაზს, იშორებს გზიდან ყოველივე ეს, რაც ხელს უშლის ჩვენს წარმატებულ წინსვლას. თითოეული პარტიული აქტივისტი, ხელმძღვანელი, მით უმეტეს პარტიული მუშაკი, უნდა გახდეს პოლიტიკური მებრძოლი, იყოს შეურიგებელი კერძომესაკუთრული ტენდენციების ყოველ გამოვლინებისადმი. და ეს ბრძოლა ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ უშიშრად ვიკისროთ რაც შეიძლება მეტი. კომუნისტს, ხელმძღვანელს ხომ ყველაფერი ეკითხება?

ეს არის პარტიის პრინციპული ხაზი განვითარების ახლანდელ ეტაპზე, და მას თანამიმდევრულად უნდა ახორციელებდეს თითოეული პარტიული კომიტეტი, თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი. ვიცავდეთ ამ ხაზს— ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, საგულდაგულოდ ვარჩევდეთ და ვანაწილებდეთ კადრებს არა მარტო საქმიანი თვისებების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. არანაკლები, თუ მეტი არა, მნიშვნელობა აქვს თითოეულის პოლიტიკურ სიფხიზლეს, მორალურ სისპეტაკეს, ზნეობრივ სახეს.

სამწუხაროდ, ყველა როდი იცავს ამ გეზს. და ამან განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც ბოლო დროს დაუშვეს უხეში დარღვევები კადრების შერჩევასა და განაწილებაში. მაგალითად, ვაჭრობის საქალაქო სამმართველოს უფროსად მუშაობდა უკლება. მას ჰქონდა კეთილმოწყობილი სამოთახიანი კომფორტული ბინა და მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი სამი სულისაგან შედგებოდა, გადაწყვიტა კიდევ შეეძინა საკუთარი სახლი 140 ათას მანეთად და მაშინვე ბედ გადაიხადა 70 ათასი მანეთი. ამასთან შეთანხმებას ყიდვის შესახებ ხელი მოაწერა უკლებას ქმარმა, ხოლო მყიდველის როლს ასრულებდა მისი 83 წლის დედა. საქალაქო კომიტეტმა ეს იცოდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა ხელი წაეფარებინა უკლებასათვის და „სათანადოდ“ ხსნიდა მისი უშრომელი შემოსავლის მართლზომიერებას. თანაც საქალაქო კომიტეტმა დეზინფორმაციია მიაწოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, როცა აცნობა, რომ უკლება განთავისუფლებულია თანამდებობიდან, მაშინ როცა სინამდვილეში იგი იმავე ადგილზე მუშაობდა და მხოლოდ შემდეგ გადაყვანილ იქნა... „საქმაკაცლეს“ საქალაქო სამეთაურო ბაზის მმართველად.

ასევე უპრინციპოდ მიუდგა პარტიის საქალაქო კომიტეტი ტყავფეხსაცმლის გაერთიანების დირექტორს აზერედიანს და არსებითად აიცილა მას პასუხისმგებლობა საწარმოში სისტემატური დატაცებისათვის. ხოლო ადგილობრივი მრეწველობის გაერთიანების ენერგეტიკური დირექტორი კოლუაშვილი, რომელიც მუშაობის ჩაშლისათვის მკაცრ სასჯელს იმსახურებდა, წარადგინეს ორდენის მისაღებად. სხვათა შორის, ორივე ეს პირი ახლა დაპატიმრებულია მექრთამეობისა და დატაცებისათვის.

საქალაქო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მიეჩქმალა დატაცების, მექრთამეობის, წამატებების ფაქტები, ცდილობდა დაემახინჯებინა მათი არსი, ყველაფერი ნათელ ფერებში წარმოედგინა. ასე იყო, როცა ხანძარი მოხდა ვაჭრობის საქალაქო სამმართველოს საწყობში, და ეს იმისათვის, რომ დაეფარათ დანაშაულობათა კვალი. ასე იყო, როცა ტრიკოტაჟის ფაბრიკაში დაიტაცეს იმპორტული ნართის დიდი პარტია. ასე იყო, როცა გამოვლინდა უუხეშესი დარღვევები თბილისურნეობის სამმართველოში, რომელთა კვალს მიუყვანართ ქუთაისის ნავთობბაზაზე, ხოლო იქიდან ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის მთელ სისტემაში.

ამ შემთხვევებში კი, როცა ზემდგომი ორგანოების დაკანონებული მოთხოვნით საქალაქო კომიტეტი იძულებული ხდებოდა გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან ცალკეული სახელმტეხელი ხელმძღვანელი მუშაკები, მათ მაგივრად აწინაურებდნენ ადამიანებს, რომლებიც, არსებითად, ისევე დანაშაულებრივად იქცეოდნენ, როგორც წინამორბედნი. ასე იყო, როცა უკლებას ადგილზე, ვითომდა ვაჭრობაში წესრიგის დასამყარებლად, მოვიდა საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი კლდიაშვილი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ მექრთამეობაში ამხილეს და ახლა სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

მაგრამ საქმე ასე მარტო ქუთაისში როდი იყო. იმას, თუ რა მოჰყვება კადრების შერჩევის ფუძემდებელი პარტიული პრინციპების დარღვევას, ცხადყოფს თავის დროზე მცხეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ ზანდარაშვილის დაწინაურების მაგალითიც. ზანდარაშვილი არც საქმიანი, არც პოლიტიკური და, მით უმეტეს, არც თავისი მორალური თვისებებით, ზნეობრივი სახით არ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნებს, რომლებსაც ხელმძღვანელს ვუყენებთ. იგი დაეპატრონა საკადრიმიდამო მიწის ნაკვეთს, რომლის ფართობი ნორმით გათვალისწინებულს აღემატებოდა, ააგო იქ უზარმაზარი სათბური, საიდან

29 ივლისი • საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული გიბლიოთეკა

ფაქტები • მოვლენები

წყალმომარაგების თანამედროვე დაგეგმვა

პარტიის XXVII ყრილობაზე დასახულ ხუთწლედის ვრცელ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას, რომელიც მრავალ დარგს მოიცავს. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის წყალმომარაგებას. ჩვენს ქვეყანაში სასმელი წყლის მოხმარების ნორმა ერთ სულ მოსახლეზე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა გათვალისწინებით დღე-ღამეში 300 ლიტრს შეადგენს, ხოლო საქართველოში— 500 ლიტრს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მოსახლეობის წყლის მოხმარების ნორმას ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ცოტა როდი რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში სასმელი წყლის შეფერხებით მიწოდების შემთხვევები. სამწუხაროდ, ეს გამოწვეულია ნაწილობრივ მილსადენებსა და განმანაწილებელ ქსელებში დანაკარგებით და, რაც მთავარია, მოხმარებელთა მიერ წყლის არარაციონალური ხარჯვით. როგორც გამოკვლევებმა დაადასტურეს, მარტო საცხოვრებელ შენობებში კავშირის მასშტაბით დანაკარგები წყალდამხარჯი არმატურიდან შეადგენს საშუალოდ 21 პროცენტს.

აქედან გამომდინარე, თუ ღრმად გავაანალიზებთ ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი. ამჯერად ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, სასმელი წყლის მიწოდების დაგეგმვის სრულყოფაზე.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის საგეგმო ორგანოები დაგეგმვის პროცესში - მხედველობაში იღებენ ორ მონაცემს — შემოსავლისა და საბალანსო მოგების არსებულ დონეს და ზრდის ტემპს, რომელთა შესრულებაზეა დამოკიდებული წყალსადენის მეურნეობათა პერსონალის ეკონომიკური სტიმულირების საკითხი. აქედან გამომდინარე, დაგეგმვის არსებული სისტემის თანახმად, პერსონალი დაინტერესებულია წყლის მიწოდების გადიდებით და შესაბამისად მაქსიმალური მოგების მიღებით. სამწუხაროდ, მრეწველობაში არსებული დაგეგმვის საერთო სისტემა მექანიკურად არის გადმოტანილი წყალმომარაგების დარგში მისი სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ცხადია, დაგეგმვის არსებული სისტემა გამართლებულია მრეწველობის იმ სფეროში, რომელიც გულისხმობს წარმოების გაფართოებას, პროდუქციის მაქსიმალურ ზრდას და ამიტომ უზრუნველყოფილია ურთიერთკავშირი გამოშვებული პროდუქციის მოცულობასა და ეკონომიკურ სტიმულირებას შორის.

წყალმომარაგებაში კი ჩვენ საქმე გვაქვს მომსახურებასთან, განსაზღვრულ სფეროსთან, კონკრეტულ მომხმარებლებთან, და ზზრად მისაწოდებელი წყლის რაოდენობის შემდგომი ზრდა კარგავს აზრს. წყალი მომხმარებელმა სრულად და რაციონალურად უნდა გამოიყენოს. მისი მიწოდების შემდგომი გაზრდა გამოიწვევს მხოლოდ და მხოლოდ დანაკარგებისა და არასაწარმოო ხარჯების გადიდებას.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, ჩვენს სისტემაში დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების თანამედროვე პრინციპები ხელს არ უწყობს წყლის ეკონომიურ, რაციონალურ გამოყენებას. არსებული შეფასებითი მაჩვენებლები არ იძლევა იმის ანალიზის საშუალებას, თუ რა მიზნებითა და რამდენად რაციონალურადაა გამოყენებული სასმელი წყალი. ამის გამო ხშირად იქმნება მოსახლეობაში სასმელი წყლის ნაკლებობის ილუზია და დღის წესრიგში დგება ახალი სიმძლავრეების ამოქმედების საკითხები. და ეს მაშინ, როდესაც მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები წყალს ხარჯავენ ჭარბი რაოდენობით.

თუ გავაანალიზებთ რომელიმე ერთ-ერთი კომუნალური წყალსადენის საწარმოს მუშაობას, დავინახავთ, რომ წყლის დანაკარგების შემცირების ღონისძიების განხორციელება გამოიწვევს რეალიზებული წყლის მოცულობის შემცირებას. ამას კი თავისთავად მოჰყვება საწარმოს შემოსავლის შემცირება. იქმნება ისეთი წარმოდგენა, თითქოს წყლის დანაკარგების შემცირება ეკონომიკურად არაბელსაყრელია. სწორედ ეს გარემოება იყო წამოყენებული ძირითად არგუმენტად, რომლითაც ასაბუთებდნენ წყლის დანაკარგების შემცირების ეკონომიკურ მიზანშეუწონლობას.

ასეთი არგუმენტაცია ითვალისწინებს მხოლოდ პრობლემის ცალ მხარეს და საერთო სქემისათვის საზიანოა.

რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია წყლის დანაკარგების შემცირების ეფექტიანობა შეუფასებელი იქნეს მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის პოზიციიდან. გარდა ამისა, არ შეიძლება განისაზღვროს წყლის დანაკარგების ეფექტიანობა მხოლოდ ერთი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. ამ შემთხვევაში აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ საერთო-სახალხო სამეურნეო ეფექტიანობა.

მაშ, რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ კომუნალური წყალსადენის საწარმოში დაგეგმვის შემდგომი სრულყოფისათვის?

ბოლო ხანს რუსეთის სფსრ კომუნალური მეურნეობის აკადემიის კომუნალური წყალმომარაგებისა და წყლის გაწმენდის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მოეწყო გამოკვლევები, რომელთა მიზანი იყო წინადადებათა შემუშავება კომუნალური წყალსადენების საწარმოებში დაგეგმვისა და მომსახურე პერსონალის ეკონომიკური სტიმულირების არსებული სისტემის სრულყოფისათვის. ეს გამოკვლევები ეყრდნობა თანამედროვე ეკონომიკის მეცნიერების მიღწევებს.

ერთი მხრივ, საგეგმო დავალებები უნდა ასახავდეს წყალზე რაციონალურ მოთხოვნილებას, ხოლო მეორე მხრივ, კომუნალურ საწარმოთა მუშაკები აღჭურვილი უნდა იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებით. წყალსადენის საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს არა მარტო მისაწოდებელი წყლის მოცულობის ზრდა, არამედ მომხმარებელთა სრული და შეუფერხებელი დაკმაყოფილება.

წყლის რეალიზაციის სრულყოფის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მისაწოდებელი წყლის მოცულობის დაგეგმვაზე გადასვლა ნორმატიულობის საფუძველზე. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს მომხმარებელთა მოთხოვნილებების და წყალმომარაგების საწარმოების ექსპლოატაციისათვის საჭირო სახსრების ნორმირებული ხარჯვა, ე. ი. წყლით უზრუნველყოფის მოთხოვნის მთავარ მაჩვენებლად უნდა მივიღოთ სასარგებლოდ გამოყენებული წყლის მოცულობა. ამასთან წყლის მიწოდების დაგეგმვის ანგარიშის მეთოდიკა ძირეულად იცვლება. მომხმარებლის თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკე უნდა შემუშავდეს საგეგმო დავალება წყლის რეალიზაციაზე ხარჯვის ინდივიდუალური ერთეული მაჩვენებლების (ნორმატივების) გათვალისწინებით, რომლებიც უნდა დადგინდეს ყოველ ცალკეულ პუნქტში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ნორმატიული მეთოდი, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, — ეს არის ყველაზე უფრო პროგრესული მეთოდი მასალის, ნედლეულისა და რესურსების რეალური მოთხოვნის შეფასებისათვის და მას ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ცნობილია, რომ დანაკარგების და შესაბამისად რეალიზებული წყლის მოცულობის შემცირება იწვევს წყალსადენის საწარმოებში ფონდშემქმნელი მონაცემების კლებას. ამიტომ ნატურალურ მაჩვენებლებში დაგეგმილ დავალებათა გადაჭარბება ან შეუსრულებლობა უმრავლეს შემთხვევაში არ უნდა იყოს მომსახურე პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების ან გაუარესების მაჩვენებელი. ამიტომაც სათანადო სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით წყალსადენის საწარმოს ფულადთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდი უცვლელი დარჩა.

ექსპერიმენტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ის არის, რომ ყველა აბონენტს უნდა ჰქონდეს წყალსაზომები. უამისოდ შეუძლებელია ფაქტობრივად რეალიზებული წყლის მოცულობის განსაზღვრა. ამასთან, როგორც კომუნალური წყალმომარაგებისა და წყლის გაწმენდის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამოანგარიშება გვიჩვენებს, მარტო ჩვენი ქვეყნის საბინაო-კომუნალური მეურნეობების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად გამოშვებული წყალსაზომების რაოდენობამ წელიწადში 1,3 მილიონი ცალი უნდა შეადგინოს. ამჟამად კი წყალსაზომებზე მოთხოვნა კავშირის მასშტაბით დაკმაყოფილებულია დაახლოებით 30 პროცენტით. ამ მხრივ არც საქართველოშია კარგი მდგომარეობა. რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო წყალსაზომებზე ყოველწლიურად ადგენს განაცხადს 10,3 ათასი ცალის ოდენობით, მაგრამ ეს მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება. ასე, მაგალითად, 1983 წელს გამოყვეს 255 ცალი, 1984 წელს — 81 ცალი, ხოლო 1985 წელს — 1141 ცალი. რთული მდგომარეობაა წყალსაზომების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების მხრივაც. მათი შეკეთებისა და გამოცდის ერთადერთი საწარმოო ბაზა შექმნილია მხოლოდ „თბილისწყალკანალის“ საწარმოო სამმართველოსთან.

როგორც ქ. სალავათში მოწყობილმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვისა და წყლის ხარჯვის კონტროლისა და აღრიცხვის გაძლიერების შედეგად საგრძნობლად შემცირდება დანაკარგები.

ახლა ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკის რომელიმე რეგიონსა და თბილისის ერთ-ერთ რომელიმე რაიონში მოწყოს ანალოგიური ექსპერიმენტი, რაშიც საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრამ, აგრეთვე იმ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა საწარმოები უშუალოდ იქნებიან დაკავშირებული აღნიშნული ღონისძიების განხორციელებასთან.

ვფიქრობთ, წყალმომარაგებისა და მოხმარების სწორი დაგეგმვის სრულყოფა ხელს შეუწყობს ამ საქმის წინსვლას, მეურნეობის აყვავებულობას და, რაც მთავარია, მოსახლეობის გაუმჯობესებას.

მ. კანდელაკი,
საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქწყალკანალის“ უფროსის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვიშრომოთ თავდადებით, ეფექტიანად

ჩვენი სამომავლო გეგმების ბედი უკვე დღეს წყდება და მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად თავდადებით და ეფექტიანად ვიშრომებთ, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე. მისმა მონაწილეებმა, რომლებმაც მოისმინეს პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ო. გ. ზუბაიას მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებისა და აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ, დიდი მოთხოვნების პოზიციიდან გააანალიზეს ადგილებზე საქმის ვითარება, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია მუშაობის ეფექტიანობის გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება.

წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი უზრუნველყოფენ რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ აღმავლობას. აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გაასაღეს 8 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. შესრულებულია აგრეთვე შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მოგების, სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის გამოშვების დავალებანი. თანამიმდევრულად სრულდება მითითებაც სახალხო მოხმარების საგნების წარმოების უპირატესი განვითარების შესახებ.

ამავე დროს პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც მუშაობენ ძველებურად, არ უზრუნველყოფენ წარმოების ზუსტ რიტმს, ურიგდებიან უხარისხო პროდუქციის გამოშვებას. აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა შორის ჯერ კიდევ ბევრი ჩამორჩება, ვერ ასრულებს მოგების დავალებებს, რომლებიც რეკონსტრუქციისა და მოწყობილობის მოდერნიზაციის შემდეგაც კი ზარალიანად მუშაობენ. ბევრ საყვედურს იწვევს შენებლების, მეტრანსპორტეების, ვაჭრობის სფეროს, კავშირგაბმულობის საქმიანობაც.

პლენუმზე საგანგებო სჯა-ბაასი იყო აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის განვითარებაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიმდინარე ხუთწლედში პროდუქციის საერთო მოცულობა უნდა გაიზარდოს 485 მილიონ მანეთამდე. ჩაის ფოთლის შესყიდვა გადიდდება 20,3 პროცენტით, ციტრუსებისა — ორჯერ, ბაღჩეულისა — 5,3, ეთერზეთოვანი კულტურებისა — 1,5-ჯერ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება აგროსამრეწველო კომპლექსის გადამუშავებელი დარგის მუშაობის ქვაკუთხედი ხდება.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა პრიზმით დაიყენეს პლენუმზე ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, მეცნიერების, კურორტების, სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების შემდგომი განვითარების საკითხები. პლენუმმა მოსთხოვა პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ბრძოლა სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების გამოვლინებათა წინააღმდეგ, ყველგან განამტკიცონ შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინა.

მოიწონა რა ძირითადად აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის ხუთწლიანი გეგმის პროექტი, პლენუმმა განსაზღვრა მისი განხორციელების მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

● აშშ

შეთქმულება სურინამის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. სურინამის კანონიერი მთავრობის დამხობის მიზნით ახალი შეთქმულება მზადდება, და, შესაძლოა, კვლავაც მზადდება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ახალი ორლანის ერთ-ერთ გარეუბანში დაატმრეს 13 ამერიკელი დაქირავებული, რომლებიც გეგმავდნენ ლათინური ამერიკის ამ პატარა ქვეყანაში პროამერიკული გადატრიალების მოწყობას. ოპერაციის გეგმა უკვე მზად იყო და, როგორც ჩანს, იგი მოიწონეს ამერიკის სპეცსამსახურების თავკაცებმა. ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა რაიონში გადაბირებულ არამზადებს, რომლებიც ოკეანის გაღმა ყოველგვარ ავანტიურებში მონაწილეობდნენ, „ბიზნესმენების“ ნიღბით ფარულად უნდა შეეღწიათ სურინამის ტერიტორიაზე, კონტაქტი დაემყარებინათ ქვეყნის მიგნით ვაშინგტონისათვის კარგად ცნობილ მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტებთან, ხოლო შემდეგ გამოეწვიათ აჯანყება. წარმატების შემთხვევაში თითოეულ დაქირავებულს მილიონ დოლარს პირდებოდნენ.

დაქირავებულები რომ დააპატიმრეს, ამერიკელ ხელისუფლებს, როგორც ჩანს, სურდათ ეჩვენებინათ, თითქოს ისინი „სურინამის წინააღმდეგ ყოველგვარი ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგი არიან“. მაგრამ ფაქტები, რომლებსაც თვით ამერიკული პრესა აქვეყნებს, სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობს. მაგალითად, ასოშიეიტედ პრესის მონაცემებით, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჯერ კიდევ მაისში შეიტყო, რომ შეთქმულება მზადდებოდა. მიუხედავად ამისა, მას არაფერი არ უღონია. ახლანდელი დაპატიმრება კი, როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ან იმით აიხსნება, რომ ოპერაციის საიდუმლოება დაირღვა და ვაშინგტონმა თავი აარიდა დიდ საერთაშორისო სკანდალს, ან არსებობს დაქირავებულთა მეორე, უფრო დიდი ჯგუფი, რომელსაც დავალებული აქვს „მთავარი დარტყმა“, და სპეცსამსახურები ცდილობენ მისგან ყურადღების ჩამოშორებას.

ასეა თუ ისე, არავის ეპარება ეჭვი, რომ სურინამის წინააღმდეგ ახლანდელი შეთქმულების უკან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დგას.

● ეთიოპია

აირჩიეს ახალი თავმჯდომარე

ადის-აბება. აქ მიმდინარე აფრიკის ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ასამბლეის XXII სესიაზე აფრიკის ერთობის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი დენი სასუ-ნგესო.

საზღვარგარეთის გამოცხადება

მშვიდობისა და უშიშროებისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ ვლადივოსტოკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

◆ პრაღა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა შორეული აღმოსავლეთის თვისების გრანდიოზული სურათი დახატა, პრინციპიულად და გულახდილად ილაპარაკა საბჭოთა ეკონომიკის საზრუნავზე, აღნიშნულია ჩეხოსლოვაკიის რადიოს კომენტარში. ეს ზრუნვა ნათლად მოწმობს საბჭოთა ქვეყნის ნამდვილ მიზანდასახულობებს. საბჭოთა ხალხი გულღიად და პატიოსნად მიმართავდა და კვლავაც მიმართავს ყველა ხალხსა და მთავრობას: საბჭოთა ადამიანებს მშვიდობა სურთ.

◆ სოფია

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო, რომელიც განმარტავს სიტყვის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილს, აღნიშნავს, რომ მასში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობის განმტკიცების საკითხებს. სსრ კავშირმა მხარი დაუჭირა იმას, რომ მსოფლიოს ეს რაიონი ჩართოს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პროცესში, რომელზეც ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობაზე. საგენტო აღნიშნავს 1986 წლის დამლევამდე ავღანეთიდან ექვსი საბჭოთა პოლკის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტილების მნიშვნელობას. ამ სერიოზულ ნაბიჯს რომ დგამს, საბჭოთა კავშირი ესწრაფვის დააჩქაროს ავღანეთის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგება, ახალი იმპულსი მიანიჭოს მას.

◆ ნიუ-იორკი

ამერიკის საინფორმაციო საგენტოებმა ნიშნით „ელვა“, „სასწრაფო“, „მნიშვნელოვანი“ გადასცეს მ. ს. გორბაჩოვის სიტყვის შინაარსი. საბჭოთა ხელმძღვანელმა, ნათქვამია ასოშიეიტედ პრესის ცნობაში, ამერიკის მმართველ წრეებს ბრალად დასდო, რომ ისინი ხელს უშლიან მოსკოვის ძალისხმევას კონტროლი დაუწესონ შეიარაღებას და განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადებებს „წმინდა წყლის პროპაგანდას“ უწოდებენ“. შეეხო რა უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეხვედრის პერსპექტივებს, გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ასეთი შეხვედრის მომხრეა. თუმცა მოსკოვი მტკიცედ წინააღმდეგია იმისა, რომ ჟენევის წინა შეხვედრაზე მიღწეული მორიგება გაიგონ ისე, თითქოს იგი ამოიწურებოდეს პირობით კვლავაც ვხვდებოდეთ ერთმანეთს. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: მთავარი, რაზედაც მოვილაპარაკეთ ჟენევაში, ეს არის შეთანხმება, რომ ვიღვაწებთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, დავაჩქარებთ შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობას. ამას უნდა ემსახურებოდეს ახალი დონის შეხვედრაც.

იუპის სააგენტო აღნიშნავს: „თავის მნიშვნელოვან სიტყვაში საბჭოთა ხელმძღვანელმა დაადასტურა მოთხოვნა „ვარსკვლავთის ომების“. რეიგანისეული პროგრამის შეზღუდვის შესახებ“. მოსკოვში ამერიკის წინადადებებზე განიარაღების სფეროში ორი პუნქტის მიხედვით ამსჯელებენ: რამდენად შეესაბამება ეს წინადადებები თანაბარი უშიშროების პრინციპს და იძლევა თუ არა ისინი იმის საშუალებას, რომ მივაღწიოთ ერთობლივ ეფექტიან გადაწყვეტებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსური სივრცეში მისი გავრცელების თავიდან აცილების საკმეში.

◆ ტოკიო

ნიუნით „რიგგარეშე“ იაპონიის კიოდო ცუსინის საგენტომ გადმოსცა სიტყვის შინაარსი. განსაკუთრებით აღინიშნა საბჭოთა ხელმძღვანელის წინადადება მოეწყოს, მაგალითად, ქალაქ ჰიროსიმაში უშიშროებისა და თანამშრომლობის სრულიად ევროპის იმ თათბირის მსგავსი წყნარ ოკეანის კონფერენცია, რომელიც ჰელსინკში მიმდინარეობდა. ცნობაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი „აქტიურად ეკიდება“ იაპონიასთან ურთიერთობას.

◆ პარიზი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაგმო ამერიკის ადმინისტრაციის არაკონსტრუქციული პოზიცია, რომელიც ცდილობს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები წარმოადგინოს „პროპაგანდად“, ფრანს პრესის სააგენტო ატყობინებდა საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლის შესახებ და ხაზს უსვამს: სსრ კავშირის წინადადებანი გამოწვეულია მოსკოვის დიდი შეშფოთებით კაცობრიობის ბედის გამო, ვინაიდან ბირთვული ომი მსოფლიო კატასტროფას გამოიწვევს.

◆ დამასკო

საბჭოთა ხელმძღვანელმა დაადასტურა საბჭოთა კავშირის მტკიცე და უცვლელი პოზიცია მიღწეოს ბირთკული საფრთხის აღმოფხვრას და დაძაბულობის შენელებას მსოფლიოს „ცხელ“ წერტილებში, ნათქვამია დამასკოს რადიოს კომენტარში. აბხაზეთ-გორბაჩოვის სიტყვა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი სიტყვებს ქარს არ ატანს და ასრულებს წინათ ნაკისრ ვალდებულებებს. ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით საერთაშორისო რეაქცია, ნათქვამია შემდეგ კომენტარში, ცდილობს გზა გადაუღობოს მშვიდობის ძალებს და დაატორპედოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესება.

ეროვნული გიბლიოთეკა

ანტიდემოკრატიული მანევრი

პარიზი. მემარჯვენეთა ხმების უმრავლესობით საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მიერ ატომატურად მიღებულად ითვლება და განსახილველად გადაეცემა სენატს. კაბინეტის გეგმები გულისწყრომით დგამო საფრანგეთის კომპარტიამ, რომელმაც განაცხადა, რომ განაგრძობს ბრძოლას სახელმწიფო საწარმოების დენაციონალიზაციის წინააღმდეგ.

● ტაილანდი

არჩევნების შედეგები

ბანგკოკი, ტაილანდის პარლამენტში გასულ კვირას გამართულ არჩევნებში თექვსმეტი პოლიტიკური პარტიიდან, რომლებმაც თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს, ვერც ერთმა ვერ მოიპოვა გადამწყვეტი უმრავლესობა.

აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, თითქმის ორმაგად გაზარდა თავისი წარმომადგენლობა პარლამენტში ქვეყნის უძველესმა პოლიტიკურმა პარტიამ— დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც 347 დეპუტატის მანდატიდან მიიღო 100 მანდატი. ამავე დროს საგრძნობი დანაკარგები განიცადეს ტაის ეროვნულმა პარტიამ და სოციალური მოქმედების პარტიამ, რომლებმაც შეძლეს პარლამენტში შეენარჩუნებინათ შესაბამისად მხოლოდ 63 და 51 ადგილი. ამ სამი პარტიის წარმომადგენლები შეუდგნენ მოლაპარაკებას ახალი კოალიციური მთავრობის შექმნისათვის.

ხმის დათვლის შედეგები გვიჩვენებს, რომ არჩევნებში მონაწილეობდა 60 პროცენტზე მეტი — 26 მილიონი ტაილანდელი, რომლებიც საარჩევნო უფლებით სარგებლობენ.

ჯაშუშური უწყების სისხლიანი ხელწერა

ტერორი ვაშინგტონის წაქეზებით

ნიუ-იორკი. „შეერთებულმა შტატებმა ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ ათასობით ტერორისტული აქტი ჩაიდინა“, — განაცხადა ნიუ-იორკში გამოსვლისას ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ.

მან ამხილა ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომლის მიზანია სანდინისტური მთავრობის დამხობა. ასობით ადამიანი მიესალმა ნიკარაგუის პრეზიდენტის გამოსვლას, „ვაშას“ გაიძახოდა და სანდინისტური რევოლუციის ჰიმნს მღეროდა. ამ მიტინგმა კიდევ ერთხელ ცხადყო უბრალო ამერიკელთა სიმპათია ნიკარაგუელი ხალხისადმი, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

მანაგუა. ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულებმა, რომლებიც ნიკარაგუაში ჰონდურასიდან შეიჭრნენ.

როგორც ნიკარაგუის რადიო იუწყება, ხინოტეგის დეპარტამენტში სომოსელმა არამზადებმა მოკლეს სამი უცხოელი სეციალისტი — საფრანგეთის, შვეიცარიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც რესპუბლიკის „მთავრობას ეხმარებოდნენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში. ამერიკის მიერ დაქირავებულმა ტერორისტებმა მოკლეს აგრეთვე ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის რამდენიმე აქტივისტი, რომლებიც თან ახლდნენ ევროპელ ინტერნაციონალისტებს.

„კონტრასთა“ მსხვერპლი

ნიკარაგუელი ოჯახი დასტირის მარჩენალსა და ოთხ ბავშვს, რომლებიც მანაგუის ჩრდილო-აღმოსავლეთით 75 მილზე მდებარე პატარა სოფელზე „კონტრასთა“ თავდასხმის დროს დაზოგეს.

ასეთი სურათი დღეს იშვიათი არ არის ნიკარაგუაში. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, კონტრრევოლუციონერები აწყობენ თავდასხმებს სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე. ამჟამად დაქირავებულები თავს უყრიან თავიანთ ძალებს, ემზადებიან ახალი ტერორისტული აქციებისათვის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

რეიტერ-საპრესის ფოტო.

ფოტოფაქტი

ამაო ცდები

„ტრიბუნა ლუდუ“ დასავლეთის საძრახისი პოლიტიკის შესახებ

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ „ტრიბუნა ლუდუმ“ მკვახე პასუხი გასცა დასავლეთის საძრახის ცდებს მომმე პარტიათა ყრილობების გადაწყვეტილებანი გამოიყენონ იმისათვის, რომ დაყონ და ერთმანეთს დაუპირისპირონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები.

მომმე პარტიების განვლილი ყრილობების დოკუმენტები დამაჯერებლად მოწმობენ, წერს გაზეთი, რომ მათი საერთო მნიშვნელი გახდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარება სახალხო მეურნეობის გარდაქმნის საფუძველზე, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განმტკიცება. ძლიერი იმპულსი ახლებურ აზროვნებას, სამეურნეო და პოლიტიკური საქმეებისადმი ნოვატორულ მიდგომას მისცა სკკპ XXVII ყრილობამ. თავიანთ ქვეყნებში საქმის ვითარების შეფასებას მომმე პარტიების ყრილობათა დელეგატები, მათ შორის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობის დელეგატებიც, მიუდგნენ გულახდილად და საქმიანად, კრიტიკულად. ისინი დაჟინებით ეძებდნენ იმ რთული პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის გზებს, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოების წინაშე დგას, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა გაითვალისწინონ თითოეული ქვეყნის განვითარების ისტორიული, ეროვნული თავისებურებანი.

ამ ფონზე, წერს „ტრიბუნა ლუდუ“, უბადრუკი, თითდან გამოწოვილია დასავლეთის მორიგი ცდები დაყონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები „კარგებად“ და „ცუდებად“. იქამდე მივიდნენ, რომ დასავლეთში თავის თავს უფლებას აძლევენ ჩვენს ქვეყნებს დაუსვან შესაფასებელი ნიშნები „ყოფაქცევისათვის“. ამგვარი ტაქტიკა ახალი როდია. ამაში კიდევ ერთხელ შეიძლება დავრწმუნდეთ სახალხო პოლონეთის მაგალითით. ცნობილია, რომ, როცა პოლონეთი კრიზისს განიცდიდა, მაშინ დასავლეთის დედაქალაქებში მას „ფრიადს“ უწერდნენ. ახლა კი, როცა მდგომარეობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სტაბილური გახდა, დასავლეთი მას ცილისწამებით დაეცხრა.

„ტრიბუნა ლუდუ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთის ამგვარი ხრიკების მიზანი აშკარაა: ძირი გამოუთხაროს სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობის ერთიანობას. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ ვერ მოიტანა ის შედეგები, რომელსაც ესოდენ ელოდნენ დასავლეთის ქვეყნებში. იგი ახლაც განწირულია ჩასაფუშავად.

კოლიტიკური ქრონიკა

შემაშფოთებელი რეკორდი

**ტოკიო. 28 ათასზე მეტი კაცი დააპატიმრეს იაპონ

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

თეთრი მხედრის ფერი

ლონდონი, 28 ივლისი. (საკადრესო სპეც. კორ. ვ. კუკუშკინი). ა. კარპოვი პირველ სვლას გააკეთებს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მატჩ-რევანშში, რომელიც აქ იწყება. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა პირადად გამართა წოლისყრა ასპარეზობის გახსნის საზეიმო ცერემონიის დროს.

თავიდან გ. კასპაროვს მიეცა არჩევანის უფლება. მას შესთავაზეს ორი კონვერტი, რომლებიც დეკორატიულ თეთრ და შავ მხედრებს ეჭირათ. გ. კასპაროვმა შავი აირჩია და აღმოჩნდა, რომ ფერის არჩევის უფლება ახლა ა. კარპოვს ჰქონდა. კარპოვმა უპირატესობა თეთრ მხედარს მიანიჭა, და ტეტჩერმა, კონვერტის გახსნის შემდეგ, განაცხადა, რომ მსოფლიო ექსჩემპიონი პირველ პარტიას თეთრი ფიგურებით ითამაშებს. ამრიგად, პირველ და ყველა კენტ პარტიაში თეთრი ფიგურები კარპოვს ექნება.

მატჩის გახსნის ცერემონია საკმაოდ ლამაზი იყო და ინგლისურ ტრადიციებს შეესაბამებოდა. მასში მონაწილეობდნენ მეფის გვარდიელთა ორკესტრი, მეფენფარეები, დარბაზის იატაკი კი, სადაც მატჩის მონაწილეები ითამაშებენ, დაფარული იყო სპეციალური შავ-თეთრი ხალიჩით, რომელიც ჭადრაკის დაფას მოგვაგონებდა.

თავის გამოსვლაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ თვითონ ჭადრაკს არ თამაშობს, მაგრამ დიდ პატივს სცემს ამ თამაშს, რომელშიც შერწყმულია სპორტის, ხელოვნებისა და მეცნიერების ელემენტები. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ჭადრაკი ხალხების დაახლოების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს მეგობრული კონტაქტების დამყარებას.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ინგლისში ეს თამაში სულ უფრო პოპულარული ხდება. უკანასკნელ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ინგლისელებმა მეორე ადგილი დიაკავეს. ახლა ქვეყანაში რამდენიმე საერთაშორისო დიდოსტატია.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. სერეგინ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისათვის.

გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ლ. ზამიატინი, რომელმაც წარმატება უსურვა მატჩის მონაწილეებს და მიუღოცა პასუხსაგები შეჯიბრების დაწყება.

უკვე ცერემონიის დამთავრების შემდეგ გ. კასპაროვი და ა. კარპოვი მთავარი მსაჯის ლ. შმიდის თანხლებით მივიდნენ საჭადრაკო მაგიდასთან, რომელიც სცენაზე იდგა. საქმე ის გახლავთ, რომ მაგიდა, რომელიც წინელი ხისგან იყო დამზადებული და აქ დადგეს რამდენიმე დღის წინათ, შეუფერებელი აღმოჩნდა ორივე მონაწილისათვის. იგი არეკლავდა შუქს. ახლა მაგიდას ტყავის საფარი გადააკრეს. ფიგურების დამზადებისთვისაც დამატებითი მუშაობა დასჭირდათ. თავდაპირველად არჩეული კომპლექტი მეტისმეტად... მსუბუქი გამოდგა. ახლა ფიგურის ძირში დაწებებულ ფეტრს რამდენიმე გრამი პლასტიკი დაუმატეს და ფიგურის გადასაადგილებლად ოდნავ მეტი ენერგიის დახარჯვაა საჭირო. „თამაში საკმაოდ მძიმე იქნება“, — იხუმრა ერთ-ერთმა სცენაზე მყოფმა...

ქვეტექსტებით მდიდარი პარტია

პირველი პარტია თეთრებით მოთამაშე კარპოვმა ლაზიერისწინა პაიკით დაიწყო. შავების პირველივე სიბასიუხო სვლა იმას მოასწავებდა, რომ მსოფლიო ჩემპიონმა რაღაც ახალი მოუმზადა მეტოქეს. ასეა თუ ისე, იგი უკვე აღარ აპირებდა ლაზიერის გამბიტის სხვადასხვა დაცვითი სისტემებისათვის მიემართა, რომლებსაც წინა ორ მატჩში უცვლელად იყენებდა.

მესამე სვლაზე გამოირკვა, რომ კასპაროვმა, თავისი საჭადრაკო მოღვაწეობის მანძილზე პირველად (!) მიმართა გრიუნფელდის დაცვას, რასაც, ცხადია, მეტოქე არ მოელოდა. თუ კონკრეტულად რა ჰქონდა მომზადებული ჩემპიონს, ეს ჯერჯერობით უცნობი დარჩა. კარპოვმა გადაწყვიტა პრინციპულ დავაზე დროებით ხელი აეღო და უკვე მეშვიდე სვლით გადაუხვია თეორიაში ცნობილ გაგრძელებებს. ამით ექს-ჩემპიონმა ნიფთით კი თავიდან აიცილა, მაგრამ თავის მხრივ ხელი აიღო ყოველგვარ სადებიუტო უპირატესობაზე. ეს, ცხადია, შავებისათვის მორალურ წარმატებად ჩაითვლებოდა. მეთორმეტე სვლაზე ლაზიერების დაცვლის შემდეგ დაძაბულობა ერთბაშად დაცხრა. ზოგი კომენტატორის აზრით, ამ მომენტისათვის უკვე შეიძლებოდა ყაიზეზე შეთანხმება. მას შემდეგ, რაც თითქ ეტლიც გაიცვალა, თამაშის გაგრძელებას უკვე აზრი აღარ ქონდა. კარპოვის წინადადებით მეტოქეები ყაიზეზე შეთანხმდნენ.

პირველი პარტია

კარპოვი-კასპაროვი

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 ᲡF6 2. c4 g6 3. Სc3 d5 4. ᲡF3 Ჩg7 5. Ჩf4 c5 6. dc ლa5 7. ეc1 dc 8. e3 ლ:c5 9. ლa4+ Სc6 10. Ჩ:c4 0-0 11. 0-0 Ჩd7 12. ლb5 ლ:b5 13. Ჩ:b5 ეac8 14. ეfd1 ეfd8 15. h3 h6 16. Სgf1 a6 17. Ჩe2 Ჩe6 18. ე:d8+ ე:d8 19. Სe5 Ს:e5 20. Ჩ:e5 ეd2 21. b3 ყაიმი.

დღეს მეორე პარტიაში კასპაროვი თეთრებით ითამაშებს.

გ. გამრეკელი.

საგურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის ორი კალენდარული მატჩი. შედეგები ასეთია: მოსკოვის „ტორპედო“-„ყაირათი“ — 0:1, მინსკის „დინამო“-კიევის „დინამო“ — 1:1.

ᲬᲧᲐᲚᲯᲝᲛᲐᲠᲓᲝᲑᲐ. დასავლეთ ბერლინში იუნიორთა შორის დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც. თბილისელმა **ქრისტინა ფალასნიდიმ** სინქრონულ ცურვაში ერთეულთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა, ჯგუფურ ვარჯიშში კი თანგუნდელებთან ერთად ოქროს მედალი. **დიანა მჭედლიძე** 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე იყო, **გიორგი ჩოგოვაძემ** კი 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილე სხვა სპორტსმენთაგან ალმაათელმა ვ. ალექსეევმა 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ოქროს მედლები მოიპოვა, კიეველმა ა. დუბროვეცმა კი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. სსრ კავშირის ქალუკთა ნაკრები პირველი იყო 4X100 მეტრზე კომბინირებულ და თავისუფალი სტილით ესტაფეტებში. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა რვა გუნდს შორის მეორე საპრიზო ადგილი დიაკავა, პირველ ადგილზე კი გამოვიდა გფრ-ის გუნდი.

ფარიკაობა. სოფიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე რაპირისტ ქალთა შორის უძლიერესი იყო ანია ფიხტელი (გფრ). საბჭოთა სპორტსმენს ოლგა ვოშჩაკინას წილად ხვდა ბრინჯაოს მედალი. მოხმალაფეთა შორის ყველას აჯობა მოსკოველმა სერგი მინდრგასოვმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა უნგრელი იმრე ბუიდოზო.

ᲩᲝᲒᲑᲐᲠᲗᲝᲑᲘ. პრაღაში დამთავრებულ „ფედერაციის თასის“ გათამაშების ფინალში აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი ანგარიშით 3:0 და ამ ჯილდოს დაეუფლა.

ᲡᲐᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲗᲘ. მინსკში მიმდინარე სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სამბისტთა შეჯიბრებაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა იასპარეზეს 48, 57, 68, 82 და 100 კილოგრამამდე წონითს კატეგორიებში. ოთხ წონაში ჩვენი სპორტსმენები მეორე წრიდან გამოეთიშნენ პირველობისათვის ბრძოლას, ხოლო 82 კგ-მდე წონის მოასპარეზეთა შორის პაატა ბუზარიაშვილმა X ადგილი დაიკავა. ბაქოში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა ჯგუფური ტურნირები. საქართველოს ნაკრებმა ფინალისკენ ვერ გაიკაფა გზა და ცხადია, 8 უძლიერეს კოლექტივს შორის ვერ მოხვდა.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ხელმოწერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატი“ იუწყება, რომ ხელმოწერა 1987 წლისათვის საბჭოთა და საზღვარგარეთის ეროვნალგაზეთებზე დაიწყება 1986 წლის 1 აგვისტოდან.

ხელმოწერა იწარმოებს „სოიუზპეჩატის“ საგენტოებში (განყოფილებებში), ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან, ორგანიზაციებსა და საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და თბილისის ფოსტამტში.

ინდივიდუალური ხელმოწერა საბჭოთა და საზღვარგარეთულ ერონალ-გაზეთებზე 1987 წლის იანვრიდან ჩაბარებით მიიღება 1 ნოემბრამდე, ხოლო საუწყებო ხელმოწერა საწარმო-დაწესებულებებისათვის გაფორმდება 31 აგვისტომდე.

„სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური სამმართველო.

ᲗᲔᲚᲕᲘᲖᲘᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მულტფილმები. 10.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უცნობი და საოცარი სამყარო“. 10.40 — უკრაინელ ა. ფიოდოროვი (ბალალაიკა) და ვ. სიდელნიკოვი (გიტარა). 11.05 — მოგზაურთა კლუბი. 12.05 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. 16.40 — საკონცერტო დარბაზში მოსწავლეები არიან. 17.25 — ვეიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.55 — მონღოლეთის მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 18.20 — გასაუბრებით მხატვრებზე. გ. ს. ვერეისკი. 18.55 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 19.00 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“ 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „ვისაუბროთ არსებითად“. სოციალისტური შეჯიბრების გამოცდილებისა და პრობლემების შესახებ. 20.45 — ახალი ამბები. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა“. პირველი სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი. „სპარტაკი“-მოსკოვის „დინამო“. შესვენებისას — 23.25 — დღეს მსოფლიოში. 0.25 — ჭადრაკი. მატჩ-რევანში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.40 — მხატვრული ტელეფილმი „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო გზა“. მეორე სერია. 11.00 — გერმანული ენა. 11.30 — ფილმი — ბავშვებს. 12.45 — დედის სკოლა. 13.15 — მხატვრული ტელეფილმი „სვეაბორგი“. მეორე სერია. 14.30 — „მარტივი რთული ჭეშმარიტებანი“. 15.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — დოკუმენტური ფილმი „შავი ჩემოდნის საიდუმლოება“. 19.30 — მუსიკალური კიოსკი. 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა. პატარებო!“. 21.20 — „თანამეგობრობა“. 21.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ბომბვლის პრიფესია“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო გზა“. მესამე სერია. 24.00 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიტყვა საგნებზე“. 11.10 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელ ქვეყანას საიდუმლოდ“. მეორე სერია. 12.10 — დოკუმენტური ფილმი „საობიექტო ვარჯიში სამოქალაქო თავდაცვაში“. 12.40 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი, ოთხი“... 16.25 — რეკლამა. 16.35 — მულტფილმების პროგრამა. 17.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რევაზ ლაღიძე“. 17.45 — დავაჭქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „მცირე მექანიზაცია“. 18.10 — „ახალი წიგნები“. 18.35 — განცხადებები. 18.40 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი: თბილისის „დინამო“ — ქუთაისის „ტორპედო“. შესვენებისას (20.40) — კინოჟურნალი. 22.00 —„ ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „სადა ხართ, რაინდებო“

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პიკოვური საზამთრო“. 17.05 — განცხადებები. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენ მოგყვები“. 17.40 — მხატვრული ფილმი „ველაფერი შებრუნებიოთ“.

ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲘᲒᲘᲐᲗ?

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1986 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1986 წლის 25-26 ივლისს ქ. ქობულეთში. ტირაჟში გათამაშდა 860.000 მანეთის 189 ნივთმოგება და 199.811 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

ხერის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
20008	002*)	20 მანეთი	—
20006	392*)	20 მანეთი	—
20010	842*)	ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ-24	15000—00
20018	111*)	ავტომანქანა „უიგული“-21018	7800—00
20038	074*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20048	471*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20054	111*)	25 მანეთი	—
20055	128*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20058	478*)	ავტომანქანა „უიგული“-21018	7800—00
20063	329*)	25 მანეთი	—
20066	465*)	20 მანეთი	—
20071	015*)	40 მანეთი	—
20074	084*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20084	185*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20091	481*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20097	058*)	25 მანეთი	—
20125	1-500	15 მანეთი	—
20130	202*)	40 მანეთი	—
20135	388*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20157	047*)	20 მანეთი	—
20158	414*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20169	010*)	ელექტრომიქსერი	20—00
20172	471*)	20 მანეთი	—
20176	325*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20186	127*)	ავტომანქანა „უიგული“ 21068	9100—00
20195	251*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20214	297*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20226	396*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
20229	151*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
20231	358*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20232	121*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20246	072*)	20 მანეთი	—
20255	125*)	30 მანეთი	—
20267	027*)	40 მანეთი	—
20271	078*)	მტვერსასრუტი	37—00
20292	052*)	20 მანეთი	—
20295	121*)	ელექტრომიქსერი	20—00
20299	286*)	40 მანეთი	—
20306	115*)	20 მანეთი	—
20307	140*)	20 მანეთი	—
20309	253*)	30 მანეთი	—
20368	007*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
20385	047*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
20400	082*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
20414	257*)	20 მანეთი	—
20434	200*)	40 მანეთი	—
20437	418*)	ელექტრომიქსერი	20—00
20440	495*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20447	370*)	20 მანეთი	—
20467	035*)	20 მანეთი	—
20481	001*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20494	188*)	25 მანეთი	—
20497	122*)	20 მანეთი	—
20498	010*)	ელექტრომიქსერი	20—00
20500	200*)	20 მანეთი	—
20519	201*)	40 მანეთი	—
20535	432*)	20 მანეთი	—
20537	165*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20558	402*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20567	104*)	20 მანეთი	—
20606	132*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20610	048*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20619	001*)	20 მანეთი	—
20651	347*)	20 მანეთი	—
20655	412*)	20 მანეთი	—
20660	141*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20666	359*)	500 მანეთი	—
20671	490*)	500 მანეთი	—
20678	394*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20684	142*)	30 მანეთი	—
20685	151*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20692	299*)	მტვერსასრუტი	37—00
20701	100*)	20 მანეთი	—
20729	254*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20749	480*)	500 მანეთი	—
20750	128*)	20 მანეთი	—
20771	177*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20772	178*)	20 მანეთი	—
20775	489*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20783	387*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20784	468*)	40 მანეთი	—
20810	154*)	20 მანეთი	—
20813	452*)	20 მანეთი	—
20821	178*)	40 მანეთი	—
20841	057*)	20 მანეთი	—
20842	500*)	მაცივარი „მინსკი“	430—00
20859	350*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20867	484*)	25 მანეთი	—
20889	402*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20906	251*)	25 მანეთი	—
20909	043*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
20910	023*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20915	092*)	20 მანეთი	—
20933	040*)	მაცივარი „ზილი“	370—00
20951	399*)	30 მანეთი	—
20963	107*)	20 მანეთი	—
20971	099*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
20979	197*)	40 მანეთი	—
20985	289*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21002	125*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21003	002*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21009	382*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21016	018*)	25 მანეთი	—
21027	288*)	ელექტრომიქსერი	20—00
21048	279*)	მტვერსასრუტი	37—00
21056	495*)	40 მანეთი	—
21060	292*)	მაცივარი „ზილი“	370—00
21063	887*)	100 მანეთი	—
21068	132*)	მაცივარი „ზილი“	370—00
21078	232*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21084	470*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21096	317*)	40 მანეთი	—
21098	483*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21099	145*)	30 მანეთი	—
21111	375*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21113	262*)	მტვერსასრუტი	37—00
21115	485*)	20 მანეთი	—
21119	282*)	20 მანეთი	—
21123	067*)	30 მანეთი	—
21136	118*)	მტვერსასრუტი	37—00
21139	140*)	40 მანეთი	—
21166	1-500	15 მანეთი	—
21177	203*)	40 მანეთი	—
21180	021*)	120 მანეთი	—
21193	209*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21197	397*)	40 მანეთი	—
21200	186*)	20 მანეთი	—
21212	253*)	20 მანეთი	—
21213	138*)	20 მანეთი	—
21223	161*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
21261	356*)	25 მანეთი	—
21275	149*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21299	095*)	20 მანეთი	—
21300	450*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
21318	112*)	20 მანეთი	—
21315	187*)	20 მანეთი	—
21319	061*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21342	358*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21358	081*)	20 მანეთი	—
21359	261*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21360	077*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21367	300*)	30 მანეთი	—
21368	358*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21374	064*)	30 მანეთი	—
21376	310*)	40 მანეთი	—
21379	336*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21388	268*)	40 მანეთი	—
21390	129*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21398	474*)	20 მანეთი	—
21427	232*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21431	120*)	20 მანეთი	—
21433	236*)	40 მანეთი	—
21436	337*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21468	033*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21484	451*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21510	068*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21518	104*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21515	007*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21519	439*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21525	016*)	20 მანეთი	—
21527	014*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21529	118*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21532	328*)	20 მანეთი	—
21536	170*)	40 მანეთი	—
21556	063*)	40 მანეთი	—
21574	288*)	ელექტრომიქსერი	20—00
21582	188*)	120 მანეთი	—
21586	192*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21625	310*)	30 მანეთი	—
21628	425*)	ელექტრომიქსერი	20—00
21648	107*)	მაცივარი „ზილი“	370—00
21686	284*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21693	190*)	მტვერსასრუტი	37—00
21694	202*)	40 მანეთი	—
21700	382*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
21718	423*)	40 მანეთი	—
21720	391*)	25 მანეთი	—
21734	393*)	20 მანეთი	—
21739	242*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21759	198*)	20 მანეთი	—
21760	338*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21769	068*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21775	025*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21778	257*)	20 მანეთი	—
21798	129*)	20 მანეთი	—
21809	125*)	40 მანეთი	—
21810	228*)	მაცივარი „ზილი“	370—00
21811	416*)	40 მანეთი	—
21824	079*)	40 მანეთი	—
21833	469*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
21853	408*)	მაცივარი „მინსკი“	430—00
21854	176*)	40 მანეთი	—
21863	099*)	ავტომანქანა „უიგული“ ვაზ-21068	9100—00
21868	401*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21869	133*)	40 მანეთი	—
21875	492*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
21881	164*)	20 მანეთი	—
21892	348*)	20 მანეთი	—
21912	277*)	20 მანეთი	—
21922	007*)	30 მანეთი	—
21925	379*)	40 მანეთი	—
21934	448*)	20 მანეთი	—
21942	341*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
21954	063*)	20 მანეთი	—
21960	266*)	25 მანეთი	—
21968	141*)	25 მანეთი	—
21969	058*)	25 მანეთი	—
21995	351*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22001	414*)	მაცივარი „მინსკი“	430—00
22004	429*)	40 მანეთი	—
22018	134*)	მაცივარი „ზილი“	370—00
22019	451*)	20 მანეთი	—
22020	355*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
22034	418*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
22044	382*)	20 მანეთი	—
22053	117*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
22054	321*)	ავტომანქანა „უიგული“-2105	8200—00
22056	436*)	20 მანეთი	—
22081	151*)	40 მანეთი	—
22091	480*)	40 მანეთი	—
22097	400*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
22103	225*)	ელექტრომიქსერი	20—00
22108	325*)	30 მანეთი	—
22112	288*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22135	456*)	40 მანეთი	—
22139	351*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22158	196*)	ავტომანქანა „უიგული“-2107	9800—00
22162	298*)	40 მანეთი	—
22171	484*)	ავტომანქანა „უიგული“-2107	9800—00
22188	187*)	მტვერსასრუტი	37—00
22200	021*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
22203	458*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
22204	452*)	20 მანეთი	—
22205	455*)	20 მანეთი	—
22206	127*)	20 მანეთი	—
22207	467*)	მტვერსასრუტი	37—00
22225	149*)	30 მანეთი	—
22233	272*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22237	276*)	ახი ლატარიი ბილეთი	30—00
22239	357*)	40 მანეთი	—
22241	020*)	40 მანეთი	—
22242	1-500	10 მანეთი	—
22247	260*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22258	045*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22262	497*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22270	029*)	40 მანეთი	—
22282	069*)	30 მანეთი	—
22284	166*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22296	059*)	25 მანეთი	—
22330	450*)	20 მანეთი	—
22367	063*)	20 მანეთი	—
22369	233*)	40 მანეთი	—
22370	481*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22375	082*)	40 მანეთი	—
22387	260*)	40 მანეთი	—
22399	299*)	40 მანეთი	—
22401	312*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22409	282*)	40 მანეთი	—
22423	123*)	20 მანეთი	—
22425	135*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
22445	228*)	20 მანეთი	—
22461	334*)	20 მანეთი	—
22475	419*)	მტვერსასრუტი	37—00
22477	095*)	20 მანეთი	—
22483	127*)	ელექტრომიქსერი	20—00
22484	196*)	მაცივარი „ზილი“	370—00
22505	350*)	25 მანეთი	—
22509	289*)	40 მანეთი	—
22537	405*)	20 მანეთი	—
22545	127*)	40 მანეთი	—
22566	283*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22578	099*)	40 მანეთი	—
22593	015*)	20 მანეთი	—
22595	158*)	20 მანეთი	—
22640	138*)	40 მანეთი	—
22645	044*)	ელექტროყავახაფქვავი	14—00
22657	083*)	20 მანეთი	—
22674	264*)	25 მანეთი	—
22675	002*)	40 მანეთი	—
22695	215*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22696	432*)	20 მანეთი	—
22697	470*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
22715	495*)	20 მანეთი	—
22736	036*)	მტვერსასრუტი	37—00
22741	209*)	ელექტრომიქსერი	20—00
22749	189*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00